უშიშროების მინისტრის "მეცნიერება" A2

უკრაინული დღეები თბილისში A5

ლუისი - კლიჩკო: ვინ ვინ არის? A6

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | კვირა, 22 ივნისი, 2003 წელი. №169 (381) | ფასი 50 თეთრი

# "ფოქს კიდსი" - მელაკუდები და წითელქუდები როტერდამში შეიკრიბნენ

ბიბა ბურასაშვილი

*დადგა დრო, როდესაც პატარა მელაკუდები როტერდამში თანატოლებთან ბურთს გააგორებენ და ერთმანეთს "ფოქს კიდსის" თასს შეეცილებიან. მსოფლიოს 20 ქვეყნის გოგო-ბიჭები ან უკვე როტერდამის გზას ადგანან, თანაც - დანიშნულების ადგილზე არიან და მომავალ მეტოქეებს მოუსვენრად ელიან. გუშინ, ფრანკფურტის გავლით როტერდამისკენ აიღეს გეზი ქართველმა გოგო-ბიჭებმაც, რომლებიც დღეს დილით მატარებლით გადასერავენ გერმანია ჰოლანდიის საზღვარს და საერთო ზეიმს შეუერთდებიან. ვიდრე "ფოქს კიდსის" გზას გაუდგებოდნენ, თემურ და სოფო ჭყონიებმა ბავშვები "კოკა-კოლაში" "გადაიპატიჟეს", მოგვიანებით კი "24 საათის" რედაქციაში პრესკონფერენციაზეც გვეწვივნენ.*

### ჯერ იყო "კოკა-კოლა"...

"კოკა-კოლას" ქარხანაში მისულთ, კომპანიის პრეზიდენტი თემურ ჭყონია და მისი ქალიშვილი სოფო ჭყონია შეგვეგებნენ. ბავშვები ერთთავად "რუსთავი 2-ის" სიმბოლიკით დამშვენებულ თეთრ მაისურებში გამოწყობილიყვნენ, მაგრამ თითქოს რაღაც შტრიხი აკლდათ. კომპანიის პრეზიდენტმა ეს უმალ შენიშნა და მალევე ორივე გუნდი – ხაშურის "დიანა" და თელავის "ნადიკვარი" "კოკა-კოლას" სიმბოლიკიანი ჩანთებითა და წითელი კეპებით შემოსა, ამის მერე, უკვე წითელქუდებს, საწარმოში მეგზურობაც გაუწიეს. ბავშვებს ფეხდაფეხ მიჰყვებოდნენ მშობლებიც, რომლებიც არანაკლებ გაფართოებული თვალებით შეჰყურებდნენ გამაგრილებელი სასმელის ჩამოსასხმელ დაკლაკნილ ხაზს. მას შემდეგ, რაც ბავშვებმა კონვეიერის ცქერით გული იჯერეს, თემურ ჭყონია თითოეულ ბავშვს კონვეიერიდან

გაგრძელება A6 გვერდზე



წითელქუდა ლეგიონი "24 საათის" რედაქციიდან პირდაპირ როტერდამში გაემგზავრა.

## "ჩვენ თვითონ" ანუ შევარდნაძის გარეშე?!

მაია მოსიაშვილი

**"სლავიკი ძალიან ნიჭიერი იყო. არასოდეს გამოუმჟღავნებია, რომ ქართველების სიძულვილი ჰქონდა. ყოველ შემთხვევაში, მე მისგან ასეთი რამ არ მიგრძვნია, ალბათ, იმიტომ, რომ ოჯახებით ძალიან ახლოს ვიყავით. მამაჩემი რომ მოკვდა, სლავიკის მამა, გრიგორი კონსტანტინის ძე მის კუბოსთან მუხლებზე დადგა, ეამბორა და ასე გამოემშვიდობა. ეს ჯერ კიდევ მშვიდობიანობის დროს იყო"**, - სლავიკი, რომელსაც ასე კარგად იხსენიებს სოხუმიდან ლტოლვილი დალი კარტოზია-ბახტაძე, არც მეტი, არც ნაკლები, თავად ვლადისლავ არძინბა გახლავთ.

"მიმოზოვაია როშჩა"-ს მახლობლად მცხოვრებ არძინბებისა და კარტოზიების ოჯახებს სამაგალითო მეზობლობა ჰქონდათ. შვილებიც ერთ სკოლაში დაჰყავდათ, ოღონდ ერთს ქართულ სექტორზე, მეორეს კი აფხაზურზე.

**"როცა კონფლიქტი დაიწყო, თავად სლავიკი არ მინახავს. მისი დედ-მამა კი ჩემთან ერთად იყვნენ ეშერის ამბულატორიის ბუნკერში. მახსოვს, მოვიდა ნადეჟდა შაბანის ასული და მითხრა: წამოდი, დალი, შენ და შენს გოგონას გუდაუთაში წაგიყვანთ, მერე სლავიკს ვეტყვი**

გაგრძელება A2 გვერდზე

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1475 |
| ევრო | 2.5134 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.5129 |
| რუბლი | 0.0697 |

## მორიგი თავდასხმა „გაერთიანებულ დემოკრატებზე"

### "კამიკაძეები ხომ არ ვართ, თავი ავიფეთქოთ?"

ბელა მახარაძე

*"გაერთიანებული დემოკრატების" გორის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარის მიმართ თავდასხმის კიდევ ერთი ფაქტი დაფიქსირდა. გუშინ, გვიან ღამით, გიორგი მჭედლიშვილის სახლის ეზოში ხელყუმბარა აფეთქდა. აფეთქებისას არავინ დაშავებულა. პარტიის წევრები და სამართალდამცავები ამ ფაქტს სხვადასხვა შეფასებას აძლევენ.*

პარასკევს "გაერთიანებული დემოკრატების" გორის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარეს მორიგი თავდასხმა მოუწყვეს. ეს თავდასხმის უკვე მეოთხე ფაქტია. მანამდე არც ერთი ფაქტი პოლიციის მიერ არ გამოძიებულა. სამართალდამცავები აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით საკმაოდ ორიგინალურ კომენტარს აკეთებენ და აცხადებენ, რომ თავდასხმების სერია თავად გიორგი მჭედლიშვილის მიერ არის ინსცენირებული, სამართალდამცავები მასვე აბრალებენ მჭედლიშვილის მეგობრის შვილის - ანდრო მირიანაშვილის ტანზე ამოტვიფრულ "კმარას" ინსცენირებას.

თავად მჭედლიშვილი სამართალდამცავი ორგანოებისაგან ითხოვს ფაქტების გამოძიებას და პასუხისმგებლობას სახელისუფლებო ბლოკს აკისრებს. მჭედლიშვილის მეზობლებმა და პარტიის წევრებმა გუშინ საპროტესტო აქცია გამართეს აღნიშნული ფაქტის ობიექტურად გამოძიების მოთხოვნით.

აქციის მონაწილეები აგროვებენ ხელმოწერებს და ამზადებენ მიმართვას პრეზიდენტისა და პარლამენტის თავმჯდომარის სახელზე მოთხოვნით - **"ერთი კვირის ვადაში გამოძიებულ იქნას გიორგი მჭედლიშვილის მიმართ განხორციელებული თავდასხმების ყველა ფაქტი, წინააღმდეგ შემთხვევაში მოვითხოვთ რწმუნებულის და პოლიციის მუშაკების გადაყენებას"**, - გაგვაცნო მიმართვის შინაარსი გიორგი მჭედლიშვილმა. მისი განცხადებით, პოლიციამ შემთხვევის ადგილზე მისვლიდან ხუთი წუთის შემდეგ გააკეთა განცხადება, რომელიც აბსურდულია და არავითარ ნორმებში არ ჯდება. **"პოლიცია მოსვლიდან ხუთი წუთის შემდეგ მკითხავივით ლაპარაკობს, არაფერი ნანახი და შემოწმებული არ ჰქონდათ, ისე ამბობდნენ, თითქოს საკუთარ თავს და ოჯახის წევრებს მე მოვუწყვე აფეთქება. კამიკაძეები ხომ არ ვართ, თავი ავიფეთქოთ?"** - განაცხადა გიორგი მჭედლიშვილმა "24 საათთან" საუბარში. მისივე განცხადებით, ის არ აპირებს თვალი დახუჭოს ამ ფაქტებზე და სასამართლოში იჩივლებს, თუ საქმე ოპერატიულად და ობიექტურად არ იქნა გამოძიებული.

დაახლოებით იგივე განაცხადა "გაერთიანებული დემოკრატების" გენერალურმა მდივანმა გოკა გაბაშვილმა. მისი განცხადებით, ეს ფაქტი პოლიტიკური ზეწოლაა და იმ შემთხვევაში, თუ სამართალდამცავები ამ ფაქტსაც ყურადღების გარეშე დატოვებენ, ისინი სასამართლოში იჩივლებენ.

გორის სამხარეო სამძებრო განყოფილების უფროსმა ვანო სამხარაძემ, რომელიც გუშინ მომხდარ ფაქტს იძიებს, განაცხადა, რომ ამ დროისათვის დაკითხულია ოჯახის ერთი წევრი, დათვალიერების შემდეგ ამოღებულია ნივთმტკიცებები და საქმე ძიების პროცესშია. **"რა თქმა უნდა, ყველა ეს ფაქტი ერთმანეთთან არის დაკავშირებული. ჩვენ ვმუშაობთ სხვადასხვა ვერსიაზე, მათ შორის - პოლიტიკურზეც, მაგრამ საქმის გამოძიების დასრულებამდე წინასწარ კომენტარს ვერ გავაკეთებთ"**, - სამხარაძემ თავი აარიდა შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსის ალეკო სუხიტაშვილის განცხადების შეფასებასაც (სუხიტაშვილმა განაცხადა, რომ მჭედლიშვილი თავად აწყობს აფეთქებების ინსცენირებას). **"ჩვენ მხოლოდ საქმის გამოძიება გვევალება, სხვის მაგივრად პასუხს ვერ ვაგებთ"**, - აცხადებს სამხარაძე.

## შევარდნაძემ მაკკეინს საპასუხო წერილი გაუგზავნა

თამარ ხორბლაძე

სულ ორიოდე კვირაა გასული მას შემდეგ, რაც სენატორ ჯონ მაკკეინის წერილი საქართველოში სერიოზული ვნებათაღელვის საფუძვლად იქცა. სენატორის სიტყვები, რომ აუცილებელია ნოემბრის არჩევნების დემოკრატიულად ჩატარება და დღეს საქართველოში შექმნილ სიტუაციაში სახელისუფლებო ბლოკის გამარჯვება გარკვეული ეჭვების საფუძვლად შეიძლება იქცეს, საზოგადოებაში ხელისუფლების გაფრთხილებად აღიქვეს. საქართველოს პრეზიდენტმა კი ეს წერილი მეგობრის მიერ აზრების გაზიარებად შეაფასა და აღნიშნა, რომ ასეთი აჟიოტაჟის ატეხვა მის ირგვლივ არ ღირდა. ახლა უკვე საქართველოს პრეზიდენტმა გაუგზავნა "მეგობარ სენატორს" წერილი, რომელიც სახელმწიფო კანცელარიამ საზოგადოების სამსჯავროზე გამოიტანა.

**"არჩევნებში ნებისმიერი გზებით გამარჯვების მოპოვება, მიღწეული უსამართლო პირობებში, შეამცირებს და დარტყმას მიაყენებს ქართულ საზოგადოების რწმენას დემოკრატიის სიცოცხლისუნარიანობის აუცილებლობასა და უალტერნატივობაში"**, - სწერს ედუარდ შევარდნაძე მაკკეინს და აქვე ამბობს, რომ მომავალ არჩევნებს საქართველოსთვის მართლაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება: **"სწორედ ამ არჩევნებმა, ისე, როგორც 2005 წლის საპრეზიდენტო არჩევნებმა უნდა უზრუნველყონ საქართველოს მრავალწლიანი მიზნების შეუქცევადობა, რომელიც მიმართულია თავისუფალი საზოგადოების შექმნისაკენ, ლიბერალური მიზნებისაკენ, ევროატლანტიკურ სივრცესთან სრულუფლებიანი ინტეგრაციისაკენ..."**, - აცხადებს იგი და მეგობარ სენატორს მოახსენებს იმ ძალისხმევის შესახებ, რომელსაც ხელისუფლება ოპოზიციასთან საერთო ენის გამოსანახავად სწევს: პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ რამდენიმე დღის უკან მიმართა ოპოზიციურ ძალებს და შესთავაზა მათ უთანხმოებების გონივრულად, მშვიდ ვითარებაში გადაწყვეტა; რომ საქართველოს პარლამენტი იხილავს ახალ საარჩევნო კოდექსს, პოლიტიკურ პარტიებსა და საპარლამენტო ფრაქციებს კი კონსულტაციები აქვს ცესკოს დაკომპლექტებასთან დაკავშირებით.

ბოლოს კი, საქართველოს პრეზიდენტი დაბეჯითებით არწმუნებს ამერიკელ სენატორს:

**"ნება მომეცით დაგარწმუნოთ, რომ საქართველოს ხელისუფლება სისხლხორცეულადაა დაინტერესებული თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარებაში და ყველაფერს გააკეთებს ამ მიზნის განსახორციელებლად"**, - საგანგებოდაა ხაზგასმული წერილში.

## ეუთო-ს პოზიცია

### "მუხლი ცილისწამების შესახებ, სისხლის სამართლის კოდექსში არ უნდა იყოს"

*ცილისწამებისთვის სასჯელის ზომის გასამკაცრებლად საქართველოს ხელისუფლების განსაკუთრებული აქტივობა მას შემდეგ გამოიკვეთა, რაც ცნობილი "დაუდასტურებელი შეთქმულების" იდეა გახმოვანდა. მაშინ ამ იდეის აქტიური პროპაგანდა შს მინისტმა და გენერალურმა პროკურატურამ დაიწყო, მთავრობაში და პარლამენტის სახელისუფლებო ძალის შიგნით შექმნილმა სიტუაციამაც ცხადყო, რომ სახელისუფლებო განზრახვა კანონმდებლობის გამკაცრების თაობაზე საკმაოდ სერიოზულია.*

პარასკევის უშიშროების საბჭოს სხდომაზე ეს საკითხი ერთ-ერთი მთავარი განსახილველი თემა იყო და მასთან დაკავშირებით იუსტიციის მინიტრმა საკმაოდ მკაცრი პოზიციაც დააფიქსირა, განაცხადა რა, რომ ცილისწამებისთვის სასჯელი 3-4 წლამდე თავისუფლების აღკვეთას უნდა ითვალისწინებდეს.

პარასკევს ერთადერთი, ვინც ამ აზრს გარკვეულწილად შეეწინააღმდეგა და განაცხადა, რომ საქართველომ საერთაშორისო პრაქტიკა უნდა გაითვალიწინოს, სადაც ცილისწამებისთვის ადმინისტრაციული სასჯელია დაწესებული, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე იყო.

საქართველოში შექმნილ ამ ფონზე საკმაოდ საინტერესო გახლავთ ის, რომ გუშინ სომხეთში მიღებული ანალოგიური კანონმდებლობის წინააღმდეგ ეუთომ გაილაშქრა:

გაგრძელება A2 გვერდზე

A2 ინფორმაცია A2 სამართალი A3 ეკონომიკა A3 უცხოეთი A4 საზოგადოება A5 რევიუ A6 სპორტი A7 განცხადებები A8 სხვადასხვა

## ეუთო-ს პოზიცია

პირველი გვერდიდან

ეუთო-ს ერევნის წარმომადგენლობამ სომხეთის რესპუბლიკის ეროვნული კრების თავმჯდომარეს ღია წერილით მიმართა, რომელშიც შეშფოთება გამოთქვა ახალი სისხლის სამართლის კოდექსის მუხლებთან დაკავშირებით, რომელიც ცილისწამებასა და შეურაცხყოფას ეხება.

ეუთო-ს წარმომადგენლობიდან მიღებული ცნობის თანახმად, ახალი კოდექსი ითვალისწინებს სასჯელს ცილისწამებისათვის 3 წლამდე, კოდექსის 318-ე მუხლი კი ითვალისწინებს სასჯელს 2 წლის ვადით ხელისუფლების წარმომადგენლის შეურაცხყოფისათვის, რაც გაცილებით მაღალი სასჯელია, ვიდრე ჩვეულებრივი მოქალაქის შეუარცხყოფის შემთხვევაში.

**"ეუთო-ს პოზიცია ნათელია, მუხლი ცილისწამების შესახებ სისხლის სამართლის კოდექსში არ უნდა იყოს. თუ იგი მაინც არის სისხლის სამართლის კოდექსში, სასჯელის ფორმა თავისუფლების აღკვეთა არ უნდა იყოს. ამას გარდა, არ უნდა ითვალისწინებდეს ხელისუფლების წარმომდგენლის უფრო მეტ დაცვას შეურაცხყოფის მიყენების შემთხვევაში. ყველა მოქალაქე თანაბარია..."**, - განაცხადა ეუთო-ს ერევნის ოფისის ხელმძღვანელმა, ელჩმა როი რივმა.

ცხადია, ეუთოს მიდგომები ყველა ქვეყნის კანონმდებლობისადმი მსგავსია, ამიტომ ამ განცხადების გათვალისწინება საქართველოს ხელისუფლებასაც შეიძლება მოუხდეს.

*24 საათი*

## "ჩვენ თვითონ" ანუ შევარდნაძის გარეშე?!

პირველი გვერდიდან

**და სოხუმში გაგამგზავრებს. მე უარი ვუთხარი, რადგან გოგონას გარდა ორი ვაჟიც მყავდა, რომელთა თან წაყვანაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა. ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, თუ ჩემი ბიჭები ქართველების წინააღმდეგ აიღებდნენ იარაღს. აბა, ბახტაძე ქართველებს როგორ ესროდა?1"** - ამბობს ქალბატონი დალი, რომელიც თავის შვილებთან ერთად ამჟამად რუსთავში, ერთ-ერთი ქარხნის კუთვნილ საერთო საცხოვრებელში ცხოვრობს. ამ ქალაქში სულ 4 ათასი ლტოლვილია, რომელთა უმრავლესობას ლუკმა-პურის საშოვნელად მთელი დღის განმავლობაში ქუჩებსა და ბაზრებში ვაჭრობა უხდებათ.

**"დავიღალეთ ცარიელი სიტყვებით. რატომ უნდა მიგვიყვანონ იმ დონემდე, რომ გვათქმევინონ - რატომ ვართ ქართველებიო?! აფხაზეთის, ჩემი მთავრობა რომ ჰქვია, რას მიკეთებს. პირადი ნაცნობობის გარეშე, მათ კაბინეტამდე ვერავინ აღწევს"**, - ამბობს დალი ბახტაძე. რუსთავში მცხოვრები აფხაზეთიდან ლტოლვილების უმრავლესობა საკუთარ მდგომარეობას აპროტესტებს და მთელ პასუხისმგებლობას აფხაზეთის ლეგიტიმურ მთავრობას და აფხაზეთის საპარლამენტო დეპუტაციას აკისრებს. მათი თქმით, არც ერთ მათგანს 11 წლის მანძილზე არაფერი გაუკეთებია ასობით ათასი განადგურებული ადამიანის თუნდაც მორალური რეაბილიტაციისათვის.

**"სულ დედაქალაქი და დედაქალაქი. იმათ სოხუმი, ბოდიში და, ფეხზე ჰკიდიათ. ოთხ-ოთხი მანქანა ჰყავთ, 6-ოთახიანი ბინები აქვთ თბილისის ცენტრში, ჩვენ კი გვაწვიმს და გვათოვს. 11 წელია აქ ვცხოვრობთ, არვინ მოსულა და უკითხავს, სად და როგორ ცხოვრობთო. ახლა არჩევნები მოვიდა და ყველას გავახსენდით. ჩვენ თავს არავის მოვატყუებინებთ, აქამდე სად იყავით?"** - ასე გაისტუმრეს ლტოლვილებმა ცოტა ხნის წინ რუსთავში ჩამოსული ყოფილი რეფორმატორი ბაკურ გულუა.

**"როგორ შეიძლება ვიძახოთ, სიტუაციის გამოსწორებას დრო სჭირდებაო. 10 წელიწადში თუ ვერაფერი გააკეთე, ვერც მერე გააკეთებ. შევარდნაძე ამბობს, მხარი დამიჭირეთო. ძნელია, წარმოუდგენელია, რას დავუჭიროთ მხარი, სად არის არგუმენტები?! არჩევნები მოახლოვდა. შევარდნაძეს 21 თვე დარჩა. ამათ კი, უდღეურებს, ოპოზიციას რომ ეძახიან, მტერი კი არა, მოყვარე არ ენდობა, ვისზე შევაჩეროთ არჩევანი?! ქართველ ხალხს არჩევანი არ აქვს"**, - ასე ორიგინალურად წარუდგინა ხალხს ბაკურ გულუამ რუსთავ-აფხაზეთის ორგანიზაცია სახელწოდებით "ჩვენ თვითონ".

**"ამაზე უარესი ვინ იქნება? თუ შევარდნაძე მოკვდა, დავბრუნდებით, თუ არ მოკვდა, ვერ დავბრუნდებით. ერთ კითხვაზე მიპასუხეთ, გაყიდულია თუ არა აფხაზეთი?"** - ოთხმოც წლამდე მიღწეულ ლტოლვილს გულუამ ასეთი პასუხი გასცა: **"მე ერთი სიტყვა არ მითქვამს შევარდნაძის საქებარი. ვინც იბადება, ყველა კვდება. აფხაზეთი გაყიდულია. აფხაზეთის ბედი ღალატმა კი არა, არასწორმა აზროვნებამ გადაწყვიტა."**

**"უკვე თერთმეტი წელია სახლკარი და დახმარება არ მაქვს, რაში მჭირდება მე ამათი არჩევნები. ახლა იმის დროა, 300 ათასი კაციდან 100 ათასი მაინც ქუჩაში გამოვიდეთ და დავარწმუნოთ პარლამენტი, რაიმე მოიმოქმედოს აფხაზეთის დასაბრუნებლად. დაგვიჭირონ, კაცო, მაინც დაჭერილები არ ვართ?!"** - განუცხადა "24 საათს" აფხაზეთიდან ლტოლვილმა შაქრო ფოჩხუამ. მისი თქმით, ახალი მსხვერპლი არავის უნდა, მიუხედავად ამისა, ყველა მათგანი მზად არის რაიმე რეალური გააკეთოს საკუთარ სახლში დასაბრუნებლად. **"ჩვენ აუცილებლად უნდა დავბრუნდეთ, ოღონდ შევარდნაძის გარეშე, ამ მთავრობის გარეშე თუ მოვახერხებთ ამას"**, - უთხრეს რუსთავში მცხოვრებმა ლტოლვილებმა ბაკურ გულუას. ოდესღაც შევარდნაძის ერთგულებით განთქმული გულუა კი მათ უსიტყვოდ დაეთანხმა. ამან თავად მრავლისმნახველი ლტოლვილებიც კი დააბნია და მათ რუსთავში ორგანიზაცია "ჩვენ თვითონ" დააარსეს.

### "სვანეთი" მესტიაში ფიცს დადებს

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ახლად შექმნილი ბატალიონის "სვანეთის" პირადი შემადგენლობა მესტიაში, მუდმივი დისლოკაციის ადგილზე, საზეიმო ვითარებაში სამხედრო ფიცს დადებს. ფიცის დადების შემდეგ ბატალიონის პირად შემადგენლობას საბრძოლო დროშა გადაეცემა. საზეიმო ცერემონიალს ქვეყნის თავდაცვის მინისტრი, გენერალ-ლეიტენანტი დავით თევზაძე და შეიარაღებული ძალების სხვა ხელმძღვანელები დაესწრებიან. **ინტერ-პრესი**

### ქართული მხარის წინადადებას სკეპტიკურად უყურებენ

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში სკეპტიკურად უყურებენ ქართული მხარის წინადადებას, რომლის მიხედვით, გალის რაიონში მყოფ რუს მშვიდობისმყოფელებს პოლიციური ფუნქციები უნდა მიენიჭოს, რათა მოხდეს დევნილთა უსაფრთხო დაბრუნება. "მშვიდობისმყოფელებს არ შეუძლიათ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა", - განაცხადა სახელმწიფო სათათბიროს დსთ-ის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ანატოლი ჩეხოევმა. ჩეხოევის აზრით, გალის რაიონში შინაგან საქმეთა ორგანოების გაძლიერების საკითხი უნდა დაისვას. "თუ ამ რაიონის მოსახლეობის უმრავლესობას ქართველები შეადგენენ, მაშინ ადგილობრივი მილიცია, ძირითადად, ქართველებით უნდა დაკომპლექტდეს, მაგრამ ეს აფხაზური მილიცია უნდა იყოს", - ამბობს ანატოლი ჩეხოევი. ამავე დროს, ჩეხოევის აზრით, რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთზე მოძრაობის აღდგენის შემთხვევაში, რუსი მშვიდობისმყოფელები მზად არიან, მატარებლების დაცვა საკუთარ თავზე აიღონ. **პრაიმ-ნიუსი**

### გაერო მზადყოფნას გვიცხადებს

გაერო მზად არის, რომ თავისი წვლილი შეიტანოს აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტების მიერ სოჭში მიღწეული შეთანხმებების რეალიზაციაში, რომლებიც ითვალისწინებს დევნილების დაბრუნებას, რკინიგზის აღდგენასა და ენგურჰესის რეაბილიტაციას. გაერო-ს გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა საქართველოში ჰაიდი ტალიავინიმ აღნიშნა, რომ სოჭის შეთანხმებათა ფარგლებში უკვე დაიწყო ფუნქციონირება სამუშაო ჯგუფებმა, გაერო-ს წარმომადგენლები მიწვეულნი იყვნენ დევნილთა და რკინიგზის აღდგენის საკითხებისადმი მიძღვნილ შეხვედრებზე. **პრაიმ-ნიუსი**

### მოკლედ

**თბილისი.** საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრი ვალერი ხაბურძანია უსაფუძვლოდ მიიჩნევს რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის განცხადებას იმის თაობაზე, რომ პანკისის ხეობაში დღემდე მოქმედებენ დესტრუქციული და ტერორისტული ელემენტები. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** რუსეთის პრეზიდენტის პუტინის საჯარო განცხადებას იმის შესახებ, რომ რუსეთი აფხაზეთზე ზეწოლას არ აპირებს, აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი შემაშფოთებელს უწოდებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საპარლამენტო ფრაქცია "აფხაზეთის" თავმჯდომარე გივი ლომინაძე რუსეთის პრეზიდენტის გუშინწინდელ განცხადებას "ნორმალური ადამიანისთვის მიუღებლად" მიიჩნევს და დასძენს: "ეს იმას ნიშნავს, რომ რუსეთი "საქართველოს ანექსირებული ნაწილის - აფხაზეთის დაბრუნებას არ აპირებს". **ინტერ-პრესი**

## პარლამენტი წინააღმდეგია, რომ ყველა ერთი საგადასახადო „არშინით" გაიზომოს

გიორგი ასანიძვილი

*საგაზაფხულო სესიის დასრულების წინ პარლამენტმა კიდევ ერთხელ წაუხდინა ხასიათი აღმასრულებელ ხელისუფლებას. პარასკევს საკანონმდებლო ორგანომ ჩააგდო კანონპროექტი "საგადასახადო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ", რომელიც ამჟამად არსებული, დიფერენცირებული საშემოსავლო გადასახადების ნაცვლად ყველასთვის ერთიანი - 20-პროცენტიანი დაბეგვრის შემოღებას ითვალისწინებს.*

როგორც ჩანს, მინიმალური ხელფასის 35 ლარამდე გაზრდაზე საუბრისას ხელისუფლებას სწორედ ასეთი "რეფორმა" ჰქონდა მხედველობაში, ანუ მცირეშემოსავლიან პირებს ხელფასი ფორმალურად გაეზრდებათ, მაგრამ ნამატ თანხას მაღალი საგადასახადო განაკვეთის გამო მაინც ვერ მიიღებენ. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ხელისუფლება გაჭირვებულ ფენებს ერთი ხელით რაღაც მიზერული თანხის მიცემას ჰპირდება, რომელსაც მეორე ხელით უკან წაართმევს. ვინაიდან ამ შემთხვევაში ბლეფი ძალიან აშკარაა, ფინანსთა სამინისტრო აცხადებს, რომ მცირეხელფასიანები გაზრდილი საშემოსავლო გადასახადის გამო კომპენსაციასაც მიიღებენ.

მთავრობის ასეთი დაპირება სასაცილოდაც არ ჰყოფნის გადასახადებისა და შემოსავლების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარეს დავით სალარიძეს: მისი აზრით, მაშინ, როდესაც ხელფასებისა და პენსიების დარიგება ვერ ხერხდება და ისინი დავალიანებებში გადადის, კომპენსაციების გაცემა, უბრალოდ, წარმოუდგენელია. ყოველივე ამაში პოლიტიკური თამაშის ელემენტებს ხედავს დეპუტატი კობა ამირხანაშვილიც.

**"მთავრობას უნდა, რომ მინიმალური ხელფასი 35 ლარამდე გაზარდოს და არჩევნების წინ მოსახლეობასთან პირნათელი წარსდგეს, მერე კი დეპუტატებმა უნდა აუხსნან ხალხს, მცირეშემოსავლიანი მოსახლეობის დაბეგვრის გაზრდას რატომ დაუჭირეს მხარი"**, - აცხადებს პარლამენტარი.

კანონპროექტის პირველი მოსმენით კენჭისყრაზე დაყენების წინ ძალიან იაქტიურა ფრაქცია "მოქალაქეთა კავშირის" თავმჯდომარემ ვიტალი ხაზარაძემ. იგი სახელისუფლებო ფრაქციების წევრებს შორის ციბრუტივით ტრიალებდა და ზოგს მოფერებით, ზოგს კი თვალების ბრიალით მოუწოდებდა საგადასახადო ცვლილებების მხარდაჭერისკენ. თუმცა, მისი ძალისხმევა ამაო აღმოჩნდა: არსებულ კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანას 79 ხმა სჭირდებოდა, კანონპროექტს კი მხოლოდ 33-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივა პრეზიდენტისგან მოდიოდა, ხელისუფლების პოპულისტური ნაბიჯისგან მოსალოდნელი უარყოფითი შედეგების საკუთარ თავზე წვნევა არჩევნების წინ, რადიკალი შევარდნაძისტების გარდა, როგორც ჩანს, სხვა არავის სურს.

### სამართალი

## "ეი-ი-ეს"-ის საქმესთან დაკავშირებით დაკავებულ ჭონიაშვილს სამთვიანი პატიმრობა შეუფარდეს

ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ გუშინ სამთვიანი პატიმრობა შეუფარდა შ.პ.ს. "ორლანდო ჰოლდინგ კორპორეიშენის" პრეზიდენტ გელა ჭონიაშვილს, რომელსაც 300 ათას ლარზე მეტი ოდენობის "შავი ფულის" გათეთრება და მითვისება ედება ბრალად. დაკავებულის ადვოკატები ამ გადაწყვეტილებას 48 საათის განმავლობაში საოლქო სასამართლოში გაასაჩივრებენ.

გელა ჭონიაშვილი პროკურატურამ "ეი-ი-ეს თელასში" ფინანსური დარღვევების საქმესთან დაკავშირებით დააკავა.

როგორც პროკურატურაში აცხადებენ, გამოძიება არ გამორიცხავს ჭონიაშვილის დანაშაულებრივ კავშირს "ეი-ი-ეს თელასის" ფინანსურ მენეჯერ გიორგი გვიჩიანთან, რომელიც ფინანსურ მაქინაციებშია მხილებული. ორი თვის წინ პროკურატურამ შ.პ.ს. "ორლანდო ჰოლდინგ კორპორეიშენის" ერთ-ერთი დამფუძნებელი მირიან ცხვარაძეც დააკავა, რომელსაც ფინანსური კავშირი ჰქონდა ჭონიაშვილთან.

ჭონიაშვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმე თაღლითობის მუხლითაა აღძრული. ***ინტერ-პრესი***

## ზუგდიდთან ექსპრეზიდენტის სამი მომხრე ჩაცხრილეს

გუშინ, ნაშუადღევს, 15.20 საათზე, ზუგდიდის რაიონის სოფელ კორცხელთან უცნობმა პირებმა სამი ადამიანი ჩაცხრილეს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, დაღუპულები – მანუჩარ, თენგიზ ზარანდიები და მამუკა გვაზავა ექსპრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მომხრეები იყვნენ, რომლებიც ახლანდელ ხელისუფლებას ამ ხნის მანძილზე არ შერიგებიან. მეტიც, მამუკა გვაზავას შესახებ ცნობილია, რომ ის თავის დროზე იმ გოჩა ესებუას შეიარაღებული რაზმის წევრი იყო, რომელმაც 1998 წელს სოფელ ჯიხაშკარში გაერო-ს დამკვირვებლები გაიტაცა და რამდენიმე დღის მანძილზე ტყვედ ამყოფებდა.

თუმცა, სამეგრელო-ზემო სვანეთის პროკურორის მოადგილის მებრძოლი ჭკადუას თქმით, ის არ ფლობს ინფორმაციას ესებუას ჯგუფთან დაღუპულთა კავშირის შესახებ. მისივე ნაამბობის თანახმად, ზარანდიები, გვაზავასთან ერთად, ავტომანქანა "ნივით" წალენჯიხისკენ მიემართებოდნენ, როდესაც სოფლის გასასვლელთან, შემაღლებული ადგილიდან მათ რამდენიმე ადამიანმა ცეცხლი გაუხსნა. როგორც სამართალდამცველები მიიჩნევენ, თავდამსხმელები კარგა ხნის ჩასაფრებულნი იყვნენ და მსხვერპლს ელოდნენ.

ზარანდიები და გვაზავა შემთხვევის ადგილზევე გარდაიცვალნენ.

მებრძოლი ჭკადუა გუშინ საგამოძიებო ვერსიებზეც საუბრობდა. მისი თქმით, გამოძიება, სავარაუდოდ, ორ ძირითად ვერსიაზე გააკეთებს აქცენტს, რომელთაგან ერთი ანგარიშსწორებაა, მეორე – პოლიტიკური მოტივით მკვლელობა, რომლის მიზანიც შეიძლება არჩევნების წინ სიტუაციის არევა იყოს.

რაც შეეხება ანგარიშსწორებას: აქ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი გამოიკვეთა. კერძოდ, დაახლოებით ერთი წლის წინ მამუკა გვაზავას დის ოჯახს ყაჩაღები დაესხნენ თავს და ფეხმძიმე ქალი მოკლეს. ამ ტრაგედიას მამუკა გვაზავას მეორე ძმა შეესწრო და მან ხუთივე თავდამსხმელი დახოცა.

გუშინ მომხდარ მკვლელობას ზუგდიდის რაიონის პროკურატურა გამოიძიებს. როგორც ჩვენთვის ცნობილია, გამოძიებას, ჯერჯერობით, კონკრეტული ეჭვმიტანილები არ ჰყავს დადგენილი.

## სპეცოპერაცია გაქცეულთა ლიკვიდაციით დასრულდა

გუშინ თბილისის პოლიციის სამმართველოში მიიღეს ოპერატიული ინფორმაცია საპატიმრო ადგილებიდან გაქცეული პირების ადგილსამყოფელის შესახებ. ქუთაისში

სპეციალური დავალებით მივლინებულმა ჯგუფმა კრიმინალური პოლიციის უფროსის დავით კეკუას ხელმძღვანელობით სპეცოპერაცია ჩაატარა ორი ბოროტმოქმედის, მე-5-ე საპყრობილედან გაქცეული ცნობილი კრიმინალის, დანაშაულებრივი ჯგუფის ლიდერის პაატა დოლაბერიძისა და ქსნის კოლონიიდან გაქცეული ერთ-ერთი პატიმრის დასაკავებლად. დოლაბერიძეს ბრალი ედებოდა განზრახმკვლელობაში და ყაჩაღობაში, აგრეთვე ორი ადამიანის მკვლელობაში "იბერკომპანის" ბენზინგასამართ სადგურზე თავდასხმის დროს. გაქცეულებმა პოლიციას შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს.

ორმხრივი სროლის შედეგად ლიკვიდირებულია ორივე ძებნილი. რამდენადაც ცნობილია, პოლიციელებიდან არავინ დაშავებულა. **24 საათი**

## უშიშროების მინისტრის „მეცნიერება"

### ცოტა მოუცლელობის, ცოტა სიზარმაცის შედეგი - დაგვიანებული დისერტაცია

სოფო ჩხაიძე

*მიუხედავად ცოტა სიზარმაცისა და დიდი მოუცლელობისა, საქართველოს უშიშროების მინისტრმა ვალერი ხაბურძანიამ სამეცნიერო სარბიელზე თავი გამოიჩინა და წარმატებითაც დააგვირგვინა 10 წლის წინ დაწყებული საქმე – გუშინ იგი იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი გახდა.*

**"30-იანი წლების შემდეგ უშიშროების სისტემას სადისერტაციო ნაშრომის მიმართ ასეთი ყურადღება არ გამოუჩენია"**, - იხუმრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხდომათა დარბაზის ტრიბუნასთან მისულმა დისერტანტმა, როდესაც დარბაზში მსხდომთ გადახედა. თუმცა, ცხადია, დისერტაციის დაცვაზე მისულ მის ქვეშევრდომთ 30-იანი წლების ჩეკისტებისგან განსხვავებული მიზნები ამოძრავებდათ. რაც შეეხება უშუალოდ დისერტანტს, მას მხარდამჭერი და გულშემატკივარი გუშინ ბევრი ჰყავდა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარით დაწყებული და გენერალური პროკურორით დასრულებული, მათ შორის, კონტროლის პალატის თავმჯდომარეც გახლდათ და სამთავრობო დაცვის უფროსიც. არც ერთ მათგანს დისერტაციის თემის თაობაზე შენიშვნა თუ აზრი არ გამოუთქვამს. ეს ფუნქცია, ძირითადად, უნივერსიტეტელმა იურისტებმა იტვირთეს და, საერთო ჯამში, უშიშროების მინისტრის ნამუშევარი, ცხადია, მოიწონეს კიდეც.



*მარიამ ცაცანაშვილი ხაბურძანიას ნაშრომს იწონებს.*

თავად ვალერი ხაბურძანიას თემაზე - "სუვერენიტეტის თეორია და კონსტიტუციური კანონმდებლობა" - 10 წლის მანძილზე უმუშავია. თავის დროზე თემის შერჩევა 80-იანი წლების ბოლოსა და 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოში მიმდინარე მოვლენებმა განაპირობეს. ამდენი ხნით მუშაობის პროცესის გაწელვა კი, როგორც თავად ხაბურძანია ამბობს, **"ცოტა, ალბათ, მოუცლელობამ, ცოტაც სიზარმაცემ გამოიწვია"**.

დაკავებულ მინისტრს სიზარმაცის დაძლევა დაუფასდა და გუშინ ის იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხით "დაჯილდოვდა".

დისერტაციას, რომლის დაცვას სადისერტაციო საბჭოს 18 წევრიდან 16 ესწრებოდა, მხარი თექვსმეტივემ დაუჭირა. საბჭოს ერთ-ერთი წევრი – უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ლადო ჭანტურია, რომელიც საქართველოში არ იმყოფება, დისერტანტს წერილობით მიესალმა.

რაც შეეხება თავად იურიდიულ მეცნიერებათა ახალ კანდიდატს, მან თავისი თეორიული ნაშრომის პრაქტიკაში გამოყენებისა და "ქვეყნის სუვერენიტეტის რეალობად ქცევის" სურვილი გამოთქვა.

## ამერიკა საიდუმლოდ ინახავს ტერორიზმში ბრალდებულთა ვინაობას

ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალურმა სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ხელისუფლება არ არის ვალდებული, გაახმაუროს 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტთან დაკავშირებით დაკავებულ პირთა ვინაობა, რითიც გააუქმა ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილება 2001 წლიდან მიმდინარე ანტიტერორისტული კამპანიის ფარგლებში დაკავებულ პირთა გვარების გამოქვეყნების აუცილებლობის შესახებ. არადა, სწორედ ამას ითხოვდა ადამიანის უფლებების დამცველი ოცამდე ორგანიზაცია. ისინი არგუმენტად იშველიებდნენ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ კანონს. მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლომ ამერიკის იუსტიციის დეპარტამენტის პოზიციას დაუჭირა მხარი. დეპარტამენტის პოზიცია კი ასეთია – შესაძლოა, მსგავსი ინფორმაციის გამოქვეყნებამ ხელი შეუწყოს ექსტრემისტული ორგანიზაციების ჩანაფიქრების განხორციელებას. სამიდან ორმა მოსამართლემ გადაწყვიტა, რომ ხელისუფლებას შეუძლია საიდუმლოდ შეინახოს ინფორმაცია "ცალკეული პირების დაკავების ადგილისა და დროის თაობაზე, აგრეთვე, მონაცემები დაპატიმრებისა და გათავისუფლების შესახებ". ამასთან, დაშვებულია ეჭვმიტანილთა ადვოკატთა ვინაობის გასაიდუმლოებაც.

**"ცალკეული პატიმრის ვინაობა შეიძლება არც არაფერს ნიშნავდეს, სამაგიეროდ, შესაძლოა, "ალ ქაიდასთვის" ამ ინფორმაციამ დიდი მნიშვნელობა შეიძინოს მორიგი ტერაქტის დაგეგმვისას, ან კი მიმდინარე გამოძიების პროცესში მოწმეების დასაშინებლად"**, - განაცხადა მოსამართლე დევიდ სენტელმა.

სასამართლოს ამ გადაწყვეტილებამ უარყოფითი გამოხმაურება ჰპოვა არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის, რომელთაც ამ შემთხვევაში ეროვნული უშიშროების კვლევის ცენტრი უდგას სათავეში. სწორედ ამ ცენტრს უთხრეს უარი 11 სექტემბრის გამო დაკავებული უცხო ქვეყნის მოქალაქეების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაზე.

**"ჩვენ იმედგაცრუებულნი ვართ, რადგანაც პირველად ამერიკის ისტორიაში სასამართლომ გაამართლა საიდუმლო დაპატიმრებები. მაგრამ ჩვენ არ ვაპირებთ დანებებას და გავაგრძელებთ სასამართლოს მეშვეობით ჩვენი სიმართლის დამტკიცებას"**, - ამბობს კვლევითი ცენტრის დირექტორი კეიტ მარტინი.

დევიდ ტეიტელი ერთადერთი მოსამართლეა, რომელიც კოლეგების წინააღმდეგ წავიდა. იგი აცხადებს, რომ ხელისუფლებისა კარგად ესმის, თუმცა, მიუხედავად ამისა, მიიჩნევს, რომ უმთავრესია მოქალაქეთა უფლებების დაცვა. **"როგორც ხელისუფლებაა დაინტერესებული მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფით, ისე მოქალაქეები არიან დაინტერესებულნი, რომ ხელისუფლებამ თავისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უფლებამოსილების შესრულებისას – დაპატიმრებისა და თავისუფლების შეზღუდვისას - არ გადააჭარბოს დაშვებულ ფარგლებს"**, - ჩაწერა ტეიტელმა თავის დასკვნაში.

იუსტიციის დეპარტამენტის გენერალური ინსპექტორის ანგარიშში ნათქვამია, რომ 11 სექტემბრის ტერაქტში ეჭვმიტანილთა დაპატიმრებები "საკმაო დარღვევებით" მიმდინარეობდა. 760-ზე მეტი ემიგრანტი, რომლებიც ტერაქტის შემდეგ დააკავეს, დამნაშავედ იქნა ცნობილი ამერიკის საიმიგრაციო კანონმდებლობის დარღვევაში. თუმცა, 54 მათგანი პატიმრობაში ანტიტერორისტული კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადაზე - 90 დღეზე მეტ ხანს იმყოფებოდა. 130 პატიმარს კი არ ჰყოლია ადვოკატი; ახლობლებთან დარეკვის უფლება კი მხოლოდ თვეში ორჯერ ეძლეოდათ.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# მირცხულავა სსფ-ს მისიას არხეინად ხვდება

გიორგი გახელაძე

გუშინ საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრმა დავით მირცხულავამ, იუსტიციის მინისტრის მოადგილემ გიორგი წკრიალაშვილმა და სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ ანზორ ბალუაშვილმა სახელმწიფო კანცელარიაში ენერგეტიკის სფეროში არსებული დავალიანებების საკითხებზე ითათბირეს. მათივე თქმით, დეტალურად იმსჯელეს ენერგეტიკოსთა სახელფასო დავალიანებებისა და სხვადასხვა ორგანიზაციების ვალებზე.

**"უნდა გამოვიჩინოთ პოლიტიკური ნება და ბოლომდე მივიყვანოთ დავალიანებების დადგენისა და გასტუმრების საკითხი. მთავრობამ, ენერგეტიკოსებთან და იუსტიციის სამინისტროსთან ერთად, ვალების დაფარვის სახელმწიფოსთვის მისაღები მექანიზმები უნდა შეიმუშაოს,"** - განაცხადა შეხვედრაზე ნიკოლეიშვილმა, რომლის მონაცემებით, "თელასისთვის" დავალიანების დაფარვის გადავადებამ სხვა ორგანიზაციებში ვალების დაგროვება გამოიწვია.



ენერგეტიკის მინისტრს სჩვევია "ხელის დაბანა".

როგორც შეხვედრაზე სათბობ-ენერგეტიკის მინისტრმა დავით მირცხულავამ აღნიშნა, ხელისუფლება აქტიურად მუშაობს ენერგეტიკოსებისთვის სახელფასო დავალიანების გასასტუმრებლად. რაც შეეხება ორგანიზაციების ურთიერთდავალიანების საკითხს, მირცხულავას აზრით, აუცილებელია ერთიანი მიდგომა შემუშავდეს, რაც ხელისუფლებას ამ პროცესის რეგულირებას გაუადვილებს.

მაგრამ, როგორც ჩანს, კანცელარიაში ამ ბოლო დღეებში გახშირებული "თემატური" თათბირები სავალუტო ფონდის მისიის მოახლოებულ ვიზიტთან არის დაკავშირებული. დავით მირცხულავა ირწმუნება, რომ შესრულებულია სსფ-ის დავალება – ელექტროენერგიის საფასურის ამოღება მინიმუმ 70 პროცენტამდე ასულიყო. **"ივნისის მონაცემებით, ივნისში ამოღებულია 88 პროცენტი, მაგრამ ქარხანა "აზოტის" გაუთვალისწინებლად,"** - განაცხადა მინისტრმა, რომელიც სავალუტო ფონდთან ანგარიშის ჩაბარების წინ ნერვსაც არ იტოკებს. ის თავს იმით იმშვიდებს, რომ მთავარი მოთხოვნა სამომხმარებლო ტარიფში ენგურჰესის წილის აღდგენა იყო და მირცხულავა ამას მხარს უჭერს, **"მაგრამ ეს სასამართლოს გადასაწყვეტია."** ენერგეტიკის მინისტრს სჩვევია "ხელის დაბანა", მაგრამ, ექსპერტების აზრით, ასე დიდხანს ვერ გაგრძელდება.

# ხაზინის შესახებ ახალ კანონს ახალი პარლამენტი მიიღებს

სოფიკო ოხანაშვილი

გუშინ გაერო-ს განვითარების პროგრამისა (UNDP) და საქართველოს მთავრობის ერთობლივი პროექტის ფარგლებში განიხილეს "სახელმწიფო ხაზინის შესახებ" კანონპროექტი. სამუშაო შეხვედრაში, ხაზინის ხელმძღვანელების გარდა, ფინანსთა სამინისტროს, სახელმწიფო კანცელარიის, ეკონომიკისა და იუსტიციის სამინისტროების, პარლამენტისა და ეროვნული ბანკის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. სემინარი მიზნად ისახავდა "სახელმწიფო ხაზინის შესახებ" კანონპროექტის სრულყოფას მთავრობაში წარდგენამდე.

კანონპროექტის მიზანია, სახელმწიფო ბიუჯეტისა და ხაზინის მიერ ფინანსური რესურსების ეფექტური მართვისა და შესაბამისი სრულყოფილი სისტემის ჩამოყალიბების უზრუნველყოფა. ხაზინის უფროსის დავით რამიშვილის განცხადებით, აუცილებელია ქვეყანაში ამოქმედდეს კანონი, რომელიც მკაცრად განსაზღვრავს ხაზინის ფუნქცია-მოვალეობებს და კომპეტენციას, ასევე დაარეგულირებს ურთიერთობას ეროვნულ ბანკთან და საბიუჯეტო ორგანიზაციებთან.

"სახელმწიფო ხაზინის შესახებ" კანონპროექტი სახაზინო სამსახურმა შექმნა პარლამენტის ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის მიერ მომზადებული დოკუმენტისა და ფინანსთა სამინიტროს მიერ შემუშავებული კანონპროექტის შეჯერების საფუძველზე. რამიშვილის თქმით, აღნიშნულ დოკუმენტში დამატებით გათვალისწინებულია სახაზინო სამსახურში მიმდინარე რეფორმასთან დაკავშირებული საკითხები.

"სახელმწიფო ხაზინის შესახებ" კანონპროექტის მომზადების აუცილებლობა "საბიუჯეტო სისტემების შესახებ" კანონითაა განსაზღვრული, რომელიც პარლამენტმა ერთი თვის წინ დაამტკიცა.

რამიშვილის თქმით, მთავრობას "სახელმწიფო ხაზინის შესახებ" კანონპროექტი თვის ბოლომდე წარედგინება. მანამდე კი, აუცილებლობის შემთხვევაში, ხაზინა აღნიშნულ დოკუმენტს სრულყოფის მიზნით ცალკეულ უწყებებთან შეაჯერებს.

# ევრობანკს ახალი ხელმძღვანელი ოქტომბერში ჩაიბარებს

ადამ მჭედლიძე

ევროკავშირმა რამდენიმე თვით გადადო ევრობანკის ახალი პრეზიდენტის დანიშვნა. კანდიდატურაში ეჭვი არავის ეპარება – ეს ფრანგი ჟან-კლოდ ტრიშე იქნება, რომელსაც ახლახან ფინანსურ მაქინაციებთან დაკავშირებული ბრალდებები მოეხსნა. მაგრამ საკითხის გადაწყვეტა მაინც ოქტომბრამდე გადაიდო. თუმცა, საფრანგეთი აქტიურად ლობირებდა თავის კანდიდატურას ევროკავშირის ახლახან დასრულებულ სამდღიან სამიტზე, მაგრამ საბერძნეთმა, რომელიც ახლა როტაციის პრინციპით ევროკავშირს ხელმძღვანელობს, საკითხის გადადება მოითხოვა. ბერძნების თქმით, ევრობანკის მომავალი თავკაცის ვინაობა ევროკავშირის ფინანსთა მინისტრების შეხვედრაზე უნდა გადაწყდეს, რომელიც სწორედ ოქტომბერში იმართება.

60 წლის ტრიშე ამჟამად საფრანგეთის ცენტრალურ ბანკს ხელმძღვანელობს. თუკი რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, იგი ევრობანკის მეორე პრეზიდენტი გახდება ვიმ დაუზენბერგის შემდეგ, რომელმაც ერთობ ფრთხილი და გაუბედავი პოლიტიკით ფინანსურ სამყაროს არც ისე კარგად დაამახსოვრა თავი.

ტრიშეს კვალიფიკაციაში კი ეჭვი არავის ეპარება. თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, იგი ფინანსურ სკანდალში იყო გახვეული. ტრიშე საფრანგეთის ერთ-ერთ უდიდეს ბანკში - "კრედიტ ლიონეში" მუშაობდა, რომელიც 80-იანი წლების ბოლოს და 90-იანების დასაწყისში მთელი ევროპის ყურადღების ცენტრში მოექცა ფინანსური მაქინაციების გამო. სკანდალი იმით დასრულდა, რომ მთავრობას ბანკის გაკოტრებისგან გადასარჩენად 31 მილიარდი ევროს გადახდა მოუხდა.

იმ პერიოდში ტრიშე "კრედიტ ლიონეს" მთავარი ხაზინდარი იყო და, ცხადია, ეჭვი მასზეც მიიტანეს, მაგრამ ახლახან დასრულებულმა პროცესმა ბანკირი გაამართლა და ევრობანკის სათავეში მის მოსვლას პრაქტიკულად აღარაფერი ელობება.

# თურქეთისა და რუსეთის სახეირო სესხები

**თურქეთის კრედიტი მთავრობამ მინისტრთა კაბინეტის აპარატის 1993 წლის 29 ოქტომბრის N2139 საოქმო გადაწყვეტილებით (?!) გაანაწილა.** კრედიტები ერგოთ შპს "კოკა კოლას", ს/ს "რუსთავცემენტს", ს/ს "არაგვს", შპს "გევას" (ყოფილი შპს "ფარი და კო"), შულავერის მატყლის ფაბრიკას (ამჟამად ს/ს "ვერძი-94"), ვაჭრობისა და მატერიალური რესურსების სამინისტროს (ამჟამად ეს სამინისტრო გაუქმებულია), ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს (მაშინ კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტრო) და პურპროდუქტების კორპორაციას.

შულავერის მატყლის ფაბრიკას არ დაუფარავს არც ერთი თეთრი. ს/ს "რუსთავცემენტს" დღეისათვის ერიცხება მხოლოდ სარგებლის პროცენტის დავალიანება, რადგან ფინანსთა სამინისტროსთან გაფორმებული შეთანხმების შესაბამისად, 2002 წლის 16 აპრილს მოხდა სესხის რესტრუქტურიზაცია. **თურქეთის კრედიტზე საწარმოებსა და უწყებებს ჯამში ერიცხებათ დავალიანება 74 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით.**

**რუსეთის მეორე კრედიტი მთავრობამ გაანაწილა სამი სხვადასხვა გადაწყვეტილებით:** მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 22 ოქტომბრის N757 დადგენილებით, 1.1 მილიარდი რუბლი სესხად გადაეცა ყოფილ ვაჭრობისა და მატერიალური რესურსების სამინისტროს; მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 22 დეკემბრის N930 დადგენილებით, ორი სესხი გაიცა საქნავთობპროდუქტზე, შესაბამისად - 1.1 მილიარდი რუბლისა და 2 მილიარდი რუბლის ოდენობით, ხოლო ერთი სესხი კი საქენერგოზე 1 მილიარდი რუბლის ოდენობით; კიდევ ერთი სესხი საქნავთობპროდუქტზე გაიცა პრემიერ-მინისტრის 1994 წლის N147გ განკარგულებით. სამწუხაროდ, ჩვენ ვერც ერთი ამ დოკუმენტის მოპოვება ვერ მოვახერხეთ.



საქნავთობპროდუქტს თავის მეორე სესხზე და საქენერგოს არ დაუფარავთ არც ერთი თეთრი. **რუსეთის მეორე კრედიტზე საწარმოებსა და უწყებებს ჯამში ერიცხებათ დავალიანება 19.5 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით.**

**ტრადიცია არ დარღვეულა რუსეთის მესამე კრედიტის განაწილების დროსაც. ისიც განაწილდა სხვადასხვა გადაწყვეტილებების საფუძველზე.** კერძოდ, პრემიერ-მინისტრის 1994 წლის 30 სექტემბრის N867გ, 6 დეკემბრის N1079გ და 6 დეკემბრის N1080გ განკარგულებების საფუძველზე საქენერგომ მიიღო 6.5 მილიარდი რუბლის ოდენობის სესხი, პრემიერ-მინისტრის 1994 წლის 4 ოქტომბრის N885გ და 6 დეკემბრის N1076გ განკარგულებების საფუძველზე შპს "ეგრისმა" მიიღო 1 მილიარდი რუბლის ოდენობის სესხი, პრემიერ-მინისტრის 1994 წლის 3 ნოემბრის N973გ განკარგულებისა და სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 13 ივნისის N241 ბრძანებულების საფუძველზე "საქგაზმა" მიიღო 1.5 მილიარდი რუბლის ოდენობის სესხი, პრემიერ-მინისტრის 1994 წლის 4 ნოემბრის N981გ განკარგულების საფუძველზე განათლების სამინისტრომ (?!) მიიღო 0.5 მილიარდი რუბლის ოდენობის სესხი, პრემიერ-მინისტრის 1994 წლის 4 ნოემბრის N985გ განკარგულების საფუძველზე საქენერგომ მიიღო 9.5 მილიარდი რუბლის ოდენობის სეხი და პრემიერ-მინისტრის 1994 წლის 9 დეკემბრის N1096გ განკარგულების საფუძველზე შპს "თბილისის მეტროპოლიტენმა" მიიღო სესხი, რომლის ოდენობის დაზუსტება ფინანსთა სამინისტროდან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ვერ მოვახერხეთ. სამწუხაროდ, ამ დოკუმენტების მოპოვებაც ვერ მოხერხდა, გარდა სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულებისა, რომლის შესაბამისად, "საქგაზს" განევადა ვალდებულებები ბიუჯეტის მიმართ 1997 წლის 1 მაისამდე.

საქენერგოს თავის ორივე სესხზე, შპს "ეგრისს" და "საქგაზს" მისთვის განხორციელებელი რესტრუქტურიზაციის მიუხედავად არ დაუფარავთ არც ერთი თეთრი. საინტერესოა, რომ განათლების სამინისტროს დაფარული აქვს 432 აშშ დოლარი (?!). შპს "თბილისის მეტროპოლიტენს" დღეისათვის არ ერიცხება დავალიანება, რადგან ფინანსთა სამინისტროსთან 2002 წლის 22 ივლისის შეთანხმების შესაბამისად მოხდა სესხის რესტრუქტურიზაცია. **რუსეთის მესამე კრედიტზე საწარმოებსა და უწყებებს ჯამში ერიცხებათ დავალიანება 9 მილიონ აშშ დოლარზე მეტი ოდენობით.**

**საკონსულტაციო ფირმა "დამენია, ვარშალომიძე, ნოღაიდელი და ქავთარაძე"**

## მოკლედ

**თბილისი.** საერთაშორისო ენერგეტიკული კომპანია "იტერა" სააქციო საზოგადოება "აზოტში" ინვესტიციების ჩადებას ფრთხილობს, რადგან ქარხანას საბიუჯეტო დავალიანებებზე სანქცია-საურავები ჯერ კიდევ ერიცხება.

როგორც "იტერას" წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა თამაზ პატარიძემ განაცხადა, "აზოტში" სასამართლოს მიერ დამტკიცებული რეაბილიტაციის პროექტი ხორციელდება და სანქცია-საურავები ქარხანას "ამოსუნთქვის შესაძლებლობას არ აძლევს".

სააქციო საზოგადოება "აზოტში" რეაბილიტაციის პროგრამა ერთ წელზე მეტია, რაც მიმდინარეობს. "აზოტის" პრივატიზება მიმდინარე წლის დასაწყისში განხორციელდა. ქარხანა პირდაპირი მიყიდვის წესით შეიძინა "იტერამ". **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სახელმწიფო ბიუჯეტის მთელი შემოსავალი მხოლოდ ხელფასებისა და სხვა დაცული მუხლების დაფინანსებაზე ნაწილდება, რათა მაისის თვეში არსებული ჩამორჩენის დაძლევა მოხერხდეს.

სახაზინო სამსახურის უფროსის დავით რამიშვილის მონაცემებით, მაისის თვის ხელფასები ჯერ არ მიუღიათ უცხოეთში აკრედიტებულ ქართველ დიპლომატებს, ძალოვან სტრუქტურებსა და რეგიონებში მოქმედი საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომლებს. ხელფასები ჯერ მხოლოდ სკოლა-ინტერნატებში დარიგდა.

ხაზინის უფროსის განცხადებით, მაისის თვის ვალდებულებების სრულად დაფინანსებას დაახლოებით 12 მილიონი ლარი სჭირდება. "ამ თანხაში შედის საფინანსო ფონდის მაისის თვის ტრანსფერის ნაწილიც, რომელიც ფონდისთვის ჯერ არ გადაგვირიცხავს", - აღნიშნა მან. რაც შეეხება ივნისის თვის ვალდებულებებს, რამიშვილის პროგნოზით, მათი დაფინანსება ივლისიდან დაიწყება. **ინტერ-პრესი**

## უცხოეთი

# მსოფლიოს ბიზნეს-ელიტას სამშვიდობო მისია დაეკისრა

ლევან ღირსიაშვილი

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის გუშინწინ დაწყებული ვიზიტი ისრაელსა და პალესტინაში იმავე დღეს დამთავრდა და კოლინ პაუელი იორდანიაში გაემგზავრა, სადაც გუშინ მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი გაიხსნა. დღეს კი, ის ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის დარეგულირების საკითხებზე ე.წ ახლო აღმოსავლური "კვარტეტის" დანარჩენ წარმომადგენლებთან (ევროკავშირი, რუსეთი და გაერო) მოლაპარაკებებს გამართავს. თავად ეკონომიკური ფორუმის უმთავრეს მიზანს კი ისრაელ-პალესტინას შორის მშვიდობის დამყარება წარმოადგენს.

ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის მოგვარებაში მსოფლის ბიზნეს-ელიტაც ერთვება. მათ სამშვიდობო გეგმის "საგზაო რუკის" დროული რეალიზაციისათვის ხელშეწყობის და ომის შემდგომ ერაყში არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება უნდა განიხილონ. როგორც ცნობილია, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი უმსხვილესი კორპორაციების კერძო ინიციატივითა და დაფინანსებით იმართება ხოლმე. მისი დამაარსებელი და პრეზიდენტი კლაუს შვაბი აცხადებს, რომ დიდ ბიზნესს ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის დარეგულირების საკითხში უდიდესი წვლილის შეტანა შეუძლია. **"ბიზნესს საკმაოდ არსებითი როლი გააჩნია მშვიდობის დასამყარებლად. რასაკვირველია, ჩვენ გვჭირდება პოლიტიკოსები, მაგრამ სიღარიბესთან საბრძოლველად ჩვენ აუცილებლად გვესაჭიროება ეკონომიკური განვითარება, სოციალური პროგრესი, რაშიც ბიზნესს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება,"-** აცხადებს კლაუს შვაბი.



შენობას სადაც მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი მიმდინარეობს იორდანიის ელიტარული ნაწილები იცავენ.

ამჟამინდელი ეკონომიკური ფორუმის კულმინაციური წერტილი ე.წ. ახლო აღმოსავლური კვარტეტის შეხვედრა იქნება. აშშ-ს, გაეროს, ევროკავშირის და რუსეთის წარმომადგენლები სამშვიდობო გეგმის წინაშე წარმოქმნილ სერიოზულ დაბრკოლებებზე იმსჯელებენ. რეგიონში არსებული ვითარების შესახებ, სიტყვით გამოვა აშშ-ის სახელმწიფო მდივანი, რომელიც პარასკევს დაპირისპირებულ მხარეთა ლიდერებს შეხვდა და "საგზაო რუკის" გადარჩენას შეეცადა. **"ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ დაუყოვნებლივ. არ შეიძლება შენელდეს მშვიდობის დასამყარებლად ნაბიჯების გადადგმა. ტერორისტებს გამარჯვების საშუალება არ უნდა მიეცეთ,"-** განაცხადა კოლინ პაუელმა. მან ამავე დროს, რადიკალურ დაჯგუფება "ჰამასს" მშვიდობის მტერი უწოდა. "ჰამასის" წარმომადგენლებს პასუხის გაცემა არ გაძნელებიათ. **"პაუელი სიონისტების მონა, მატყუარა და პირფერია,"-** განაცხადა "ჰამასის" ერთ-ერთმა ლიდერმა აბდელ-აზიზ ალ-რანტისიმა. მოგვიანებით, "ჰამასმა" გაავრცელა განცხადება, რომლის თანახმადაც ისინი ცეცხლის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას მომავალ კვირას მიიღებენ.

რა შეფასება შეიძლება მიეცეს კოლინ პაუელის ვიზიტს? შესძლო თუ არა მან "საგზაო რუკის" გადარჩენა? ალბათ ამ კითხვებზე არც დადებითი და არც უარყოფითი პასუხის გაცემა არ შეიძლება. ერთი რამე ცხადია, რომ სახელმწიფო მდივნის ვიზიტს არანაირი კონკრეტული შედეგი ან შეთანხმება არ მოჰყოლია.

რეგიონში არსებული ვითარება კვლავ დაძაბულია. სამშვიდობო ინიციატივით, ამჯერად მსოფლიოს ბიზნეს-ელიტა გამოდის. შეაჩერებს თუ არა "დიდი ფული" სისხლისღვრას, არავინ უწყის. ცხადი და ნათელი მხოლოდ ერთი რამაა: ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დამყარებას არა მარტო მსოფლიო პოლიტიკისათვის, არამედ ეკონომიკისათვისაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ამდენად, კონფლიქტის შეჩერების ფასიც ძალზედ მაღალია.

# რუდოლფ ჯულიანი ევროპას ანტისემიტიზმის გაძლიერებაზე მიანიშნებს



REUTERS

რუდოლფ ჯულიანი კონფერენციაზე გამოსვლის დროს

ნიუ-იორკის ყოფილმა მერმა რუდოლფ ჯულიანმა ვენაში გახსნილ კონფერენციაზე გამოსვლისას განაცხადა, რომ ევროპამ უფრო აქტიურად უნდა დაიწყოს ბრძოლა ანტისემიტური ძალადობის წინააღმდეგ, რომელიც კონტინენტზე სულ უფრო და უფრო მატულობს და საშიშ მასშტაბს იძენს.

ორდღიანი კონფერენცია, რომელსაც ევროპის, ცენტრალური აზიის, აშშ-ის კანადის და რუსეთის 350 დელეგატი ესწრებოდა ევროპის უსაფრთხოების და თანამშრომლობის ორგანიზაციის ეგიდით მიმდინარეობდა. კონფერენცია ევროპაში მზარდ ანტისემიტურ გამოვლინებებს ეძღვნებოდა. აღსანიშნავია, რომ ეს ამ თემაზე გამართული პირველი კონფერენციაა, რომელსაც ისტორიაში პრეცენდენტი არ მოეპოვება.

კონფერენციის ჩატარების იდეა ჯერ კიდევ შარშან წარმოიშვა, მაგრამ ევროპის ქვეყნების დიდმა ნაწილმა ამ ინიციატივა უარით უპასუხა. წელს კი, ამ კონფერენციის გამართვას აშშ-ის ძალისხმევას უკავშირებენ. გარადა ამისა, დამკვირვებლები აღნიშნავენ, რომ ევროპის კონტინენტზე ანტისემიტიზმის გაძლიერებამ თავად ევროკავშირის ლიდერებიც საკმაოდ შეაშფოთა.

აშშ-ის დელეგაციას კონფერენციაზე რუდოლფ ჯულიანი მეთაურობს. მან კონფერენციის მონაწილეებს ჰოლოკოსტის მნიშვნელობა შეახსენა და ევროპის ქვეყნებს მოუწოდა, რომ არა მარტო სიტყვით ებრძოლონ ანტისემიტიზმს. **"სიტყვებს არ შეუძლიათ შეაჩერონ ანტისემიტიზმის ტალღა, რომელიც ევროპასა და მსოფლიოს სხვა ნაწილებში კვლავ ძლიერდება,"-** განაცხადა ნიუ-იორკის ყოფილმა მერმა. მან კონფერენციის მონაწილეებს კონკრეტული ნაბიჯებიც დაუსახელა. ჯულიანიმ ევროპის ქვეყნებს შესთავაზა დეტალური სტატისტიკის წარმოება, სადაც აღირიცხება ყველა ის დანაშაული, რომელიც რასიზმის, ნაციონალური და რელიგიური შუღლის საფუძველზე მოხდება. ამის შემდეგ კი, სტატისტიკური მაჩვენებლების მიხედვით დეტალურად უნდა გაანალიზდეს შექმნილი ვითარება, რათა ადრეულ სტადიაზე მოხდეს პრობლემის გამოვლენა და მისი დროული აღკვეთა,- ასე ფიქრობს ნიუ-იორკის ყოფილი მერი.

ისრაელის წარმომადგენელი კიდევ უფრო შორს წავიდა და კონფერენციაზე წარმოდგენილ 55 ქვეყანას **"ებრაელთა მიმართ სიძულვილის გამო ჩადენილი დანაშაულის"** სისხლის სამართლის კოდექსში ცალკე პუნქტად შეტანა მოთხოვა.

# გენერალი თიქრითი: სადამ ცოცხალია

ერაყში დაპატიმრებულმა სადამ ჰუსეინის პირადმა მდივანმა და თანაშემწემ გენერალმა აბიდ ჰამიდ მაჰმუდ ათ-თიქრითმა გამოძიებას პირველი ჩვენებები მისცა. მისი ცნობით, ერაყის ყოფილი დიქტატორი ცოცხალია და თავისი შვილებისგან განცალკევებული იმალება. ამის თაობაზე ტელეკომპანია "სი-ენ-ენი" იუწყება.

მაჰმუდ ათ-თიქრითი 18 ივნისს დააპატიმრეს. ის 55-კაციან ძებნილთა სიაში მეოთხე ნომრად ირიცხებოდა. აშშ-ის სპეცსამსახურების ინფორმაციით, გენერალი მაჰმუდ თიქრითი პირადად ხელმძღვანელობდა მასობრივი განადგურების იარაღის შექმნის სამუშაოებს.

გენერალმა ამერიკელ გამომძიებლებს განუცხადა, რომ ბოლოს ჰუსეინი აპრილის დასაწყისში იხილა, მას შემდეგ, რაც დიქტატორის მოკვლის მიზნით ამერიკულმა ავიაციამ ძლიერი ავიადარტყმები განახორციელა. თიქრითმა განაცხადა, რომ სადამის შვილები თავიდან სირიაში გადავიდნენ და იქ სცადეს თავშესაფრის პოვნა, მაგრამ ოფიციალური დამასკოს მოთხოვნით, მათ ტერიტორია მალევე დატოვეს.

ამავდროულად, ერაყში ამერიკული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა პოლ ბრემერმა განაცხადა, რომ აშშ-ის ხელისუფლებას სარწმუნო და დაზუსტებული ინფორმაციები ჰუსეინის ბედის შესახებ არ გააჩნია. ტელეკომპანია "ენ-ბი-სი-სთვის" მიცემულ ინტერვიუში ბრემერმა აღიარა, რომ აშშ-ის სადაზვერვო სამსახურების და პენტაგონის ინფორმაციები ამ საკითხთან დაკავშირებით ურთიერთგამომრიცხავია. **"მთავარია, რომ სადამ ჰუსეინი ხელისუფლებაში უკვე აღარ იმყოფება,"-** განაცხადა ბრემერმა.

## ხალასი სიცოცხლე


ეს ჩვენი "სახლია".

ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტში ორი დღის წინათ სამი ტყუპი გოგონა დაიბადა. ასე მოულოდნელად აბულაძე-შუკაკიძეების ორბიჭიან ოჯახს სამი ნანატრი გოგო შეემატა. ისინი ჯერ მხოლოდ 1,5-1,7-1,3 კილოგრამს იწონიან და ბაროკამერებში ცხოვრობენ, მაგრამ ჯანმრთელები არიან და თავს მშვენივრად გრძნობენ. უბრალოდ, მათ თითო კილოგრამით მომატება სჭირდებათ. როდესაც ფოტოს გადასაღებად ისინი ერთ ბაროკამერაში მოათავსეს, რიგით მეორემ შეწუხება იუკადრისა და ტირილი მორთო, რისთვისაც მას დიდ ბოდიშს ვუხდით.

აქვე უნდა ითქვას, რომ ეს არ ყოფილა ხელოვნური განაყოფიერების შედეგი. ყველაფერი ბუნებრივად მოხდა და სამი ხალასი სიცოცხლე გაჩნდა.

*24 საათი*

## ქართული მალამოს დიდი აღიარება

ამა წლის 2 ივნისს პარიზში საუკეთესო ხარისხისათვის პლატინის პრიზი მიიღო **"უზნაძე-მჭედლიშვილის მალამომ"**, რომელიც გამოიყენება ღია და ჩირქოვანი ჭრილობებისათვის, დამწვრობისათვის, ტროფიკული წყლულისათვის და განგრენისათვის. მალამო 1966 წელს შექმნა ცნობილმა ქირურგმა ქეთევან უზნაძემ, მაგრამ "ვიშნევსკით გამაზული" სსრკ-ს დროს მას გასაქანი არ მისცეს. მალამო ოფიციალურად მხოლოდ 1997 წელს დაინერგა და სულ მალე ეწვია პირველი წარმატებაც. 2002 წელს ლონდონში მას ოქროს გვირგვინი გადასცეს.

ამჟამად, დედის ცნობილ მალამოს მისი ვაჟი, დავით მჭედლიშვილი აწარმოებს.

*24 საათი*

## სამამულო ფარმაცევტული მრეწველობისათვის

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში გაიმართა "ფარმაკოპეის" მეორე ტომის პრეზენტაცია, რომელსაც ესწრებოდნენ მინისტრი, ამირან გამყრელიძე, წამლისა და ფარმაცევტული დეპარტამენტის თავმჯდომარე, ალეკო თომაძე, სამინისტროს "ფარმაკოპეის" ხელმძღვანელობა, ფარმამწარმოებლები და დარგის სპეციალისტები.

სამამულო ფარმაცევტული წარმოების განვითარებისათვის "ფარმაკოპეის" გამოცემას ყველამ უდიდესი მნიშვნელობა მიანიჭა. სხვათა შორის, განვითარებადი ქვეყნებისთვის "ფარმაკოპეა", თითქმის, მიუწვდომელი ფუფუნებაა. საბედნიეროდ საქართველო მათ შორის იშვიათი გამონაკლისია.

"ფარმაკოპეის" პირველი ტომი 1998 წელს გამოვიდა. იგი მეთოდოლოგიურ საკითხებს მოიცავს. მეორე ტომი კი მოიცავს გალენური პრეპარატებისა და წამალთფორმების ზოგად სტატიებს, სამკურნალო მცენარეების ზოგად და კერძო სტატიებს, ქიმიური და ბიოლოგიური სტანდარტიზაციის ზოგად სტატიებს. პირველ რიგში ეს არის ჩვენი ფარმაცევტული წარმოებისათვის აუცილებელი საკანონმდებლო დოკუმენტი, რაც წამლისა და სხვა სამკურნალო საშუალებების მაღალი ხარისხის გარანტიაა. აქ ისიც უნდა ითქვას, რომ 2000 წელს გამოიცა საქართველოში წარმოებული სამკურნალო საშუალებების სტანდარტთა კრებული. სპეციალისტების შეფასებით, ეს არის ევროპული დონის პროდუქცია. სტანდარტების მნიშვნელობაზე ისიც მეტყველებს, რომ დღეს საქართველოში აწარმოებენ 250-ზე მეტ მედიკამენტს. უახლოეს მომავალში კი ეს რიცხვი 400-მდე გაიზრდება. ამით დადგინდა თანამედროვე ქართული სტანდარტი, რაც ყოველგვარ გაუგებრობას გამორიცხავს მწარმოებელთათვის და, საბოლოოდ, მომხმარებლის ჯანმრთელობისათვის.

უახლოეს მომავალში ამირან გამყრელიძე მთავრობის სხდომაზე გაიტანს ქვეყანაში ფარმაცევტული წარმოების განვითარების საკითხს, მერე კი საქართველო ევროფარმაკოპეის კონვენციას შეუერთდება. ამ მიმართულებით მუშაობა უკვე მიმდინარეობს.

*24 საათი*

## მოკლედ

**თბილისი.** 1 ივლისიდან 11 200 რეპრესირებული პირი 45-ლარიან პენსიას მიიღებს. სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში აცხადებენ, რომ ეს პენსიაც ჩვეულებრივი, 14-ლარიანი პენსიების დარიგების დროს გაიცემა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ ვერის ბაღში შეკრებილი 140-მდე საბავშვო ბაღის 4000-მდე აღმზრდელი პედაგოგის სტატუსის მინიჭებასა და 5-6 წლის ბავშვების საბავშვო ბაღში სავალდებულო სწავლების საკითხის დაყენებას მოითხოვდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ გაიმართა სუუამ-ის წევრი ქვეყნების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საკითხებზე მომუშავე ჯგუფების სხდომა, რომელზეც ქვეყნებს შორის თანამშრომლობის პროექტები განიხილეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** 26-27 ივნისს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო სემინარს მართავს დანიელი კოლეგების დახმარებით, რომელზეც ტრანსსასაზღვრო წყალსადინარებისა და საერთაშორისო ტბების საკითხებს განიხილავენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ამიერიდან საკრებულო ღირსეულ თბილისელებს "თბილისელთა სიამაყის" დიპლომებით დააჯილდოვებს. პირველები არიან მთამსვლელები: ბიძინა გუჯაბიძე, ბენო ქაშაკაშვილი, აფი გიგანი, გელა ოთარაშვილი და სოფიო თვარაძე. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის სანიტარული სამსახურის მონაცემებით, ქალაქის ცენტრში დაბინძურებული ტერიტორიების რიცხვმა, სადაც სანიტარული ნორმები უხეშად იყო დარღვეული, 80-ს მიაღწია. **ინტერ-პრესი**

## „ფესვების" ფორუმი

თამარ დვალი

*გუშინ ვერის პარკში არასამთავრობო ორგანიზაცია "ფესვების" პირველი ფორუმი მოეწყო. "ფესვები" 2 თვის წინათ, 21 აპრილს დაფუძნდა, მისი პრეზიდენტი ერთ-ერთი ბაღის გამგე ქალბატონი ქეთი ჟორდანიაა. ორგანიზაციაში 156 ბაღის გამგე და 3 724 პედაგოგია გაწევრიანებული. შეიძლება ითქვას, რომ ფორუმი ბაღის პედაგოგების უფლებების დაცვისთვის ბრძოლას მიეძღვნა.*


ქეთევან ჟორდანია: "მოვითხოვთ სავალდებულო სწავლებას".

არასამთავრობო ორგანიზაციის ჩამოყალიბების იდეა ქალბატონ ქეთი ჟორდანიას მას შემდეგ გაუჩნდა, რაც ერთ-ერთ ბაღში გამგედ დაინიშნა და პედაგოგების პრობლემებს უფრო ახლოს გაეცნო. მისი აზრით, ეს სფერო დღეისათვის საკმაოდ მივიწყებულია, ხოლო აქ მომუშავე პედაგოგები კი დაუცველები. **"ჩვენი არასამთავრობო ორგანიზაცია, პირველ რიგში, სამი ძირითადი საკითხის გადაწყვეტას ისახავს მიზნად: მოვითხოვთ, რომ 5-6 წლის ბავშვებისათვის საბავშვო ბაღში სწავლება სავალდებულო გახდეს და შემდეგ წავიდნენ სკოლაში. მეორე მოთხოვნა არის ის, რომ აღმზრდელის სტატუსი ავიდეს პედაგოგის სტატუსამდე, ამით მას მოემატება ხელფასი და შეღავათები დღეები. მესამე ფინანსური რეფორმაა, რომელიც აბსოლუტურად მოუწესრიგებელია საბავშვო ბაღებში. ჩვენ გვინდა, რომ სკოლამდელ აღზრდას უფრო მეტი ყურადღება მიექცეს"**, - განაცხადა ჟორდანიამ.

კითხვას - "ჩაერთვება თუ არა არასამთავრობო ორგანიზაცია პოლიტიკაში და არჩევნებში?" ქალბატონმა ქეთიმ თავისი პარტიულობის მიუხედავად, (იგი სოციალისტური პარტიის წევრია) უპასუხა, რომ იგი პარტიულობასა და პროფესიონალიზმს ერთმანეთისგან გამიჯნავს და ბაღის პრობლემებს უფრო წინ აყენებს, ვიდრე პარტიულს. **"ჩვენ, ჩვენს მოთხოვნებს დავაყენებთ, როგორც განათლების სამინისტროს, ასევე სახელმწიფოს და საკრებულოს წინაშე. თუ ჩვენ დავინახავთ, რომ ხელისუფლება მხარში ამოგვიდგა, მაშინ სახელისუფლებო პარტიის მომხრეები ვიქნებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ოპოზიციაში გადავალთ. ახლა ხომ ოპოზიციონერობა მოდაშია"**, - აღნიშნა "ფესვების" პრეზიდენტმა, ქეთი ჟორდანიამ.

ფორუმზე შეკრებილ ბაღის გამგეებსა და პედაგოგებს ამ ორგანიზაციაში გაწევრიანებით, მომავლის იმედი გაუჩნდათ.

**181-ე ბაგა-ბაღის გამგე ნანა ჩახვაშვილი:** "ჩვენ აღმზრდელები გვქვია, მაგრამ სინამდვილეში პედაგოგები ვართ. ახლა "ფესვების" დახმარებით, იმედია ამ სტატუსს მივაღწევთ. უნდა ვისარგებლოთ იმ უპირატესობით, რომლითაც პედაგოგები სარგებლობენ. ჩვენ ხომ აღზრდასთან ერთად განათლებასაც ვაძლევთ ბავშვებს. დროა აღიარონ, რომ სკოლამდელი სისტემაც განათლების პირველი და ძირითადი რგოლია."

**123-ე ბაგა-ბაღის გამგე მარინა ხუციშვილი:** "სახელმწიფოსგან უფრო მეტ ყურადღებას მოვითხოვთ. ისედაც დაზიანებული შენობები მიწისძვრამ უარესად დააზიანა და იმედი გვაქვს, რომ ეს ორგანიზაცია ამ პრობლემის მოგვარებაშიც დაგვეხმარება. მივიჩნევ, რომ აქ გაწევრიანებით, ჩვენ პატრონი გამოგვიჩნდა. დრო იყო რაღაც ფორმით გავერთიანებულიყავით, ძალა ხომ ერთობაშია."

არასამთავრობო ორგანიზაცია "ფესვები" სექტემბრის ბოლოს, თავისივე მსგავს საერთაშორისო ორგანიზაციაში გაერთიანდება. ამ გაერთიანებით, მათ იმედი აქვთ, რომ უკვე შემუშავებულ პროექტს, რომელსაც - "ბავშვები 21-ე საუკუნეში ახალი საქართველოსთვის" ჰქვია, გრანტების სახით დააფინანსებენ.

## ერთი „თეატრალური" დღე

ლელა მარგიანი

*20 ივნისს ლტოლვილთა საერთაშორისო დღე აღინიშნა. იგი არასამთავრობო ორგანიზაციამ "დომუს მობილის" თავისებურად აღნიშნა. ასოციაციამ სამაჩაბლოდან და აფხაზეთიდან დევნილ 70 ხანდაზმულ ადამიანსა და რამდენიმე თბილისელ, მარტოხელა მოხუცს ერთი ლამაზი დღე აჩუქა.*

"რაც აფხაზეთიდან წამოვედი, თეატრში არ ვყოფილვარ. დიდი მადლობა ჩვენი გახსენებისთვის. ღმერთმა ამრავლოს თქვენისთანა ადამიანები", - ლოცავდნენ აცრემლებული მოხუცები ასოციაცია "დომუს მობილის" თანამშრომლებს, რომელთაც მოხუცები ჯერ მცხეთაში ჰყავდათ ექსკურსიაზე, სვეტიცხოველი და სამთავროს დედათა მონასტერი ანახეს, მამა გაბრიელის საფლავიდან ნაკურთხი ზეთი უსახსოვრეს, ხოლო დღის ბოლოს - თბილისში, ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის თეატრში მიიპატიჟეს სპექტაკლზე "დედა-დედოფალი", სახლ-მუზეუმის ლამაზ ბაღში ტკბილი სუფრითაც ასიამოვნეს და საჩუქრად კოტე მახარაძის ცხოვრების ამსახველი ფოტო-ალბომებიც უსახსოვრეს.


გაბრიელ ბერის საფლავთან.

1997 წელს დაარსებული ასოციაცია დაუცველ ადამიანებზე, ადგილობრივ და დევნილ ხანდაზმულებზე ზრუნავს. ასოციაციას ფინანსურად დანიის ლტოლვილთა საბჭო ეხმარება დანიის მთავრობის პროგრამის - FRESTA-ს ფარგლებში. "დევნილმა ხანდაზმულებმა თავი უცხოდ არ იგრძნონ დედაქალაქში. ჩვენი პროგრამა ითვალისწინებს დევნილთა ღირსეულ ცხოვრებას და მათ ღირსეულ დაბრუნებას სამაჩაბლოსა და აფხაზეთში",- თქვა ჩვენთან საუბარში ასოციაციის დირექტორმა ქეთი დადუნაშვილმა.

სპექტაკლის შემდეგ სახლ-მუზეუმის ეზოში შეკრებილ მოხუცებს ქალბატონი სოფიკო ჭიაურელი და ბატონი მურმან ჯინორიაც შეუერთდნენ. "მე და კოტე ბედნიერები ვიყავით იმით, რომ ამ სახლში ყოველთვის სულიერება სუფევდა. დღესაც ასეა და ძალიან მიხარია", - აღნიშნა თეატრისა და სახლ-მუზეუმის დიასახლისმა.

## ფოტოდინამიკის მისადგომებთან

ფოტოდინამიური დიაგნოსტიკა და მკურნალობა თანამედროვე მედიცინაში ახალი მიმართულებაა, რომელმაც დასავლეთში დამაიმედებელი შედეგები აჩვენა. ამჟამად, აღნიშნულ მეთოდს საქართველოს სამედიცინო ელიტა ორდღიან საერთაშორისო სიმპოზიუმ - სემინარზე ეცნობა, რომლის სულისჩამდგმელია თსსუ-ს ნეიროქირურგიული კლინიკის დირექტორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გოჩა ინგოროყვა. ფორუმის ორგანიზატორები არიან შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ინსბრუკის უნივერსიტეტი და ექიმთა დარგობრივი ასოციაციები. საერთაშორისო სიმპოზიუმის ძირითადი მომხსენებლები არიან ამ დარგის წამყვანი სპეციალისტები ავსტრიიდან, შვეიცარიიდან, გერმანიიდან, შვედეთიდან და იტალიიდან.


გოჩა ინგოროყვა ნეიროქირურგებთან ერთად.

სიმპოზიუმს დაესწრო ნეიროქირურგების მთელი კორპუსი და სხვა დარგის ექიმები, რომლებსაც შეუძლიათ საკუთარ პრაქტიკაში გამოიყენონ ფოტოდინამიკის მეთოდი.

"ჩვენმა სტუმრებმა ჩამოიტანეს ახალი მეთოდი. ეს არის სხივით და წამლით ზემოქმედება ორგანიზმის უცხო სხეულზე - სიმსივნეზე. ჩვენ ვცდილობთ, აღნიშნული მეთოდი გავაცნოთ სამედიცინო საზოგადოებას უშუალოდ წამყვანი სპეციალისტებისაგან და შემდეგ ვიზრუნებთ იმაზე, რომ მეთოდი საქართველოში დავნერგოთ", - გვითხრა გოჩა ინგოროყვამ.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სიმპოზიუმს სემინარის დატვირთვაც აქვს და მასში მონაწილე ექიმებს შესაბამისი კრედიტ-ქულებიც შეემატებათ. სიმპოზიუმი მუშაობას ხვალ დაამთავრებს.

*24 საათი*

## თვალსაზრისი

# თურამაულის პატრონები ტყეში მაყალოს არ უნდა ვექებდეთ

*მძიმე სოციალურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ დაღი განათლების სისტემის პირველ საფეხურსაც დაასვა. თუ 1990 წელს სკოლამდელ დაწესებულებათა რაოდენობის უმაღლესი მაჩვენებელი 2479 ერთეული იყო, დღეისთვის ეს რაოდენობა 1195 ერთეულამდეა შემცირებული. სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ძირითადად - შენობები, მოიშალა ცენტრალიზებული მომარაგება, მკვეთრად შემცირდა სახელმწიფო დაფინანსება. ამ დროს ჰორიზონტზე ჩნდებიან სხვადასხვა "მაშველი"ფონდები, კერძოდ, სოროსის ფონდი პროგრამით - "ნაბიჯ-ნაბიჯ".*

ერთიან კულტურულ-ეკონომიკურ სისტემაში, დასავლური ტექნიკური და კულტურული ღირებულებების მიღების ფონზე უნდა შევძლოთ, რომ შევინარჩუნოთ ეროვნული ფსიქოლოგია, სპეციფიკა. ამ პროცესებში უნდა ჩავერთოთ ჩვენი კულტურით და ტრადიციებით, რათა წარსულის მოუფრთხილებლობით ჩვენვე არ დავღუპოთ ჩვენი მომავალი.

დღეს სკოლამდელ დაწესებულებებში აღზრდა მიმდინარეობს საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ახალი "საგანმანათლებლო პროგრამით სკოლამდელთათვის", რომელიც დამუშავდა უნიფიცირებულ-დისციპლინური მოდელიდან პიროვნებაზე ორიენტირებულ მოდელზე გადასვლის პირობებში. პროგრამას საფუძვლად უდევს ქართული სკოლამდელი აღზრდის თეორიასა და პრაქტიკაში დაგროვილი გამოცდილება, გათვალისწინებულია თანამედროვე მსოფლიოს პროგრესული მიმდინარეობებიც. ყურადღება გამახვილებულია ბავშვის აღზრდისა და განვითარების ისეთ პროცესებზე, რომლებიც დამოკიდებულია ბავშვის ქცევის ფორმებზე (თამაში, სახვითი ხელოვნება, მუსიკა და ა.შ.), აქვე განხილულია ბავშვის სულიერი, კერძოდ - რელიგიური, ზნეობრივი, ესთეტიკური განვითარების საკითხები ქართული ფოლკლორის გამოყენებით. პროგრამაში გათვალისწინებულია ეროვნული და პატრიოტული აღზრდის საკითხები. ძირითადი კი ისაა, რომ უნდა შეიცვალოს დამოკიდებულება ბავშვის პიროვნებისადმი ავტორიტარული ზემოქმედებიდან პარტნიორულ ურთიერთობაზე გადასვლით.

მაგრამ დამოკიდებულების შეცვლა ბევრად რთული მომენტია, ვიდრე აღზრდის კარგი თეორიის შექმნა. აქ ბევრი ფაქტორია გასათვალისწინებელი, მათ შორის - ჯგუფში ბავშვთა რაოდენობა, პედაგოგის შრომის ანაზღაურება.

საბჭოური სისტემის ნგრევამ საშუალება მოგვცა, უარი გვეთქვა ათწლეულების მანძილზე დამკვიდრებულ, დრომოჭმულ ყალბ პოსტულატებზე, სასწავლო-დისციპლინურ მოდელზე, მუშაობის ავტორიტარულ სტილზე." თუმცა ძველი მეთოდებით მუშაობა დღესაც გრძელდება. როცა ბავშვს მოძრაობა, თამაში სჭირდება, შენ კი მთელი დღე გიზის და ზღაპრებს უკითხავ, რა თქმა უნდა, ეს დაუკმაყოფილებლობა შემდეგ იჩენს თავს. ეროვნული ღირსება ორი მნიშვნელოვანი სიტყვისგან შედგება - ეროვნებისა და ღირსებისგან. ეროვნება ადამიანის ფესვებია. რაც მეტად გაქვს გათავისებული ეროვნულობა, მით მეტად გეუფლება ღირსების გრძნობა, რომელიც საშუალებას არ მოგცემს ულალატო წარსულს, ულალატო ერის ტრადიციებს. ეს, თავის მხრივ, აყალიბებს ხასიათის სიმტკიცეს; ხასიათის სიმტკიცე და ტრადიციების ერთგულება ქმნის ეროვნულ სახეს. ამას კი ბავშვობაში ეყრება საფუძველი.

ჩვენ ყველაფრის უცებ ატაცება გვიყვარს. როცა სოროსის ფონდმა საბავშვო ბაღებს დახმარება შესთავაზა, ეს ძალიან კარგი იყო: რემონტის ჩატარებით, ინვენტარითა და სათამაშო ატრიბუტებით მომარაგების და მასწავლებელთა ხელფასის დანამატების სანაცვლოდ, გამგეები ორწლიანი ხელშეკრულებით დათანხმდნენ, დაენერგათ პროგრამა "ნაბიჯ- ნაბიჯ". დღეს სახელფასო დანამატები აღარ არის და მიუხედავად სახელხეშკრულებო ვადის გასვლისა, საბავშვო ბაღები ინერციით კვლავ აგრძელებენ აღნიშნული პროგრამით მუშაობას, რომელიც ასე ნაბიჯ-ნაბიჯ, ობობას ქსელივით ედება საქართველოს სკოლამდელ დაწესებულებებს, ანუ იმ საძირკველს, რომელმაც, განათლების შესახებ კანონის შესაბამისად, ზოგადსაკაცობრიო ეროვნულ-კულტურულ ღირებულებათა და საგანმანათლებლო ტრადიციებზე დაყრდნობით უნდა მოამზადოს საფუძველი ჯანმრთელი, გონებრივად განვითარებული, შრომისმოყვარე და განათლებული პიროვნების აღზრდისათვის. პროგრამა "ნაბიჯ-ნაბიჯ" ფაქტიურად ბავშვის ემოციური სფეროს განვითარებაზეა გათვლილი. მართალია, მას გააჩნია კარგი აქცენტები - პედაგოგის მხრიდან ბავშვისადმი ინდივიდუალური მიდგომა, მშობლებთან ურთიერთობა, მაგრამ ეს არც ჩვენს პროგრამას აკლია, თანაც ეს უკანასკნელი უკეთეს პირობას ქმნის ბავშვის ფსიქიკური პროცესებისა და ლოგიკური აზროვნების გასავითარებლად. რა თქმა უნდა, შესანიშნავია, როცა გიჭირს და გეხმარებიან. მაგრამ აუცილებლად საკითხავია - კონკრეტულად რაში მჭირდება დახმარება და მეორეც - ის, რითაც მეხმარები, ისე უნდა შევათანხმო იმას, რაც მაქვს, რომ შედეგი გავაუმჯობესო და შემოთავაზებული თავსმოხვეული არ გამოდგეს.

დღეს საქართველოში შექმნილი მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის გამო მსოფლიო წესრიგის წარმმართველები ნებსით თუ უნებლიედ ცდილობენ, გლობალიზაციის პროცესები ისე მოგვახვიონ თავს, რომ ჩვენვე გვათქმევინონ უარი ყოველივე ეროვნულზე.

ცუდია, რომ სოროსის პროგრამა არ ითვალისწინებს მუსიკალურ აღზრდას, რაც საუკეთესო საშუალებაა ბავშვის ჰარმონიული აღზრდისათვის. ამ ასაკში სწორედ მუსიკით, ფოლკლორით შეიძლება იმ ეროვნულობის საფუძვლის ჩაყრა, რომლის დეფიციტიც უკვე ზრდასრულ ასაკში იჩენს თავს. ეროვნულ პროგრამაში გათვალისწინებული ზეიმები, უპირველეს ყოვლისა, ბავშვთა ესთეტიკური, ემოციური აღზრდის მიზნით უნდა ტარდებოდეს და არა მოზრდილთა გასართობად და მათი გემოვნების დასაკმაყოფილებლად, როგორც, სამწუხაროდ, დღეს ხდება.

ყველანაირ სიახლეს ბრმად არ უნდა გავუხსნათ კარი. ამასთან, ისიც უნდა ითქვას, რომ ყველა სიახლეს ახალი მენტალიტეტის ჩამოყალიბება სჭირდება, რაც უფრო ძნელია, ვიდრე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა. აღმზრდელთა ძველი მენტალიტეტის გარდაქმნა (გნებავთ - სოროსით და გნებავთ - ეროვნული პროგრამით) ძალიან მნიშვნელოვანია. ეს მხოლოდ მრავალჯერადი ტრენინგებით არ მოხდება;

ასევე, როცა ჯგუფში ზღვრულით თუ ზღვრულს ზევით ბავშვთა რაოდენობა დიდია, რა თქმა უნდა, ძნელია გაითვალისწინო ამა თუ იმ პროგრამის მნიშვნელოვანი ნიუანსები, პედაგოგი მხოლოდ დროის მშვიდობიან (ბავშვებს რომ ფიზიკურად რაიმე არ დაუშავდეთ) გაყვანაზეა ორიენტირებული.

ეროვნული პროგრამა ინოვაციებს და საერთოდ, ახალს არ ეწინააღმდეგება, მაგრამ ყველაფერი უნდა იყოს ეროვნულ ნიადაგზე შეჯერებული და შეთანხმებული.

ცალკე უნდა აღინიშნოს ბავშვის ზნეობრივი აღზრდა, როგორც სკოლამდელი აღზრდის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილი. ზნეობრივ აღზრდას საფუძვლად რელიგია უდევს, ამიტომ დრომ თავისთავად მოიტანა რელიგიურად აღზრდის აუცილებლობა, რაც ეროვნულობის საფუძველია.

სკოლამდელი აღზრდა რომ განსაკუთრებით საყურადღებო ეტაპია განათლების სისტემაში, ეს უდავოა, მაგრამ ასევე თვალსაჩინოა ისიც, რომ მას ყურადღება აკლია როგორც მთავრობის, ასევე საზოგადოების მხრიდან.

სწორედ ეროვნულ ნიადაგს მოუწყვეტლად უნდა განვითარდეს განათლების სისტემა და მისი საფუძველი - სკოლამდელი აღზრდა, რადგან როგორც ვაჟა ფშაველა ამბობს: "ყველა ერი თავისუფლებას ეძებს, რათა თავად იყოს საკუთარი თავის პატრონი, თავის საკუთარი ძალ-ღონით განვითარდეს. ცალ-ცალკე ეროვნებათა განვითარება აუცილებელი პირობაა მთელის კაცობრიობის განვითარებისა".

**მანანა გოგინაშვილი**

*ქ. თბილისის განათლების განყოფილების სკოლამდელი აღზრდის სექტორის მთავარი სპეციალისტი*

# უკრაინული დღეები თბილისში

ნანა ბასილაშვილი
მადი სერებრიაკოვა

## ათწლეულის პირველი შეხვედრა


მინისტრები კარგ ხასიათზე არიან


ქართული "საჭიდაო" უკრაინული ინტერპრეტაციით

ლევან ხერხეულიძის ფოტოები

თბილისში უკრაინის კულტურის დღეები მიმდინარეობს. გუშინწინ ღამით, საქართველოს სამდღიანი ოფიციალური ვიზიტით, უკრაინიდან 35 კაციანი დელეგაცია ეწვია. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ეს დამოუკიდებელი რესპუბლიკების პირველი ოფიციალური შეხვედრაა. სტუმრებს შორის არიან უკრაინის კულტურის მინისტრი იური ბოგუცკი, 70-იან წლებში უსსრ-ის ყოფილი კულტურის მინისტრი იური ელჩენკო, უკრაინის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე რაულ ჩილაჩავა, საქართველოს საპატიო კონსული ყირიმში ელგუჯა კეპულაძე და სხვა ოფიციალური პირები. მათთან ერთად უკრაინული კულტურის დღეების გასამართად თბილისს ხელოვნების სფეროს წარმომადგენლებიც ჩამოვიდნენ, მათ შორის არიან დამსახურებული არტისტები, საერთაშორისო სააგენტო "უკრაინ-არტ"-ის დირექტორი, უკრაინის კულტურის დღეების მთავარი რეჟისორი, მხატვრები, მომღერლები და ა.შ.

სტუმართა ოფიციალური დელეგაცია გუშინვე შეუდგა მუშაობას. დილით უკრაინის კულტურის მინისტრი და სამინისტროს სხვა წარმომადგენლები საქართველოს კულტურის მინისტრს, სესილი გოგიბერიძეს შეხვდნენ. მოლაპარაკებებისა და სამომავლო საქმიანი ურთიერთობების შესახებ, მინისტრებმა მასმედიის წარმომადგენებთან პრესკონფერენციაზე ისაუბრეს.

ორ ქვეყანას შორის კონკრეტული პროექტები დაიგეგმა, კერძოდ საუბარი იყო, უკრაინასა და საქართველოს უმაღლესი სახელოვნებო სასწავლებლების მოსწავლეთა გაცვლითი ღინისძიებების შესახებ, აგრეთვე მჭიდრო თანამშრომლობაზე საქართველოსა და უკრაინის ეროვნულ კინოცენტრებს შორის. ქართული კინოცენტრის სტუდენტები უკვე მიწვეულნი არიან კიევის კინოფესტივალზე. საპასუხოდ ქართულმა მხარემ უკრაინელი კოლეგები სექტემბერში ფესტივალ "აბრეშუმის გზაზე" მოიპატიჟა. ამას გარდა შეხვედრაზე ისაუბრეს კიდევ ერთ მნიშვნელოვან პროექტზე: მზადდება ქართულ-უკრაინული და უკრაინულ-ქართული ლექსიკონი. "ბატონი ბოგუცკი და მე ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ეს ლექსიკონი გამოიცეს, ვფიქრობთ, რომ ეს იქნება არა მარტო კულტურული, არამედ პოლიტიკური მნიშვნელობის აქტი", - განაცხადა სესილი გოგიბერიძემ. მიკოლა ბაჟანის 100 წლისთავთან დაკავშირებით, რაულ ჩილაჩავას ინიციატივით, მზადდება "ვეფხისტყაოსნის" თარგმანის ხელახალი გამოცემა. ამ პროექტის წარმატებით განხორციელების შემდეგ, ქართული კულტურის მოამაგის იუბილეს საქართველოშიც აღნიშნავენ.

"ეს იყო კონკრეტული წინადადებები რაზეც ამ მოკლე შეხვედრის დროს მოვილაპარაკეთ, მაგრამ მთავარი ალბათ ის არის, რომ ამ ათწლეულის განმავლობაში კიევის კულტურის სამინისტროს ოფიციალური დელეგაცია პირველად ჩამოვიდა ჩვენს ქვეყანაში. უკრაინის კულტურის დღეების მონაწილენი იმის წინაპირობას წარმოადგენენ, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის გაცილებით უფრო მჭიდრო კონტაქტები დამყარდეს. საუბარი იყო აგრეთვე საქართველოს, იალტასა და ყირიმის რეგიონალური კავშირების შესახებ", - შეხვედრის მნიშვნელობასა და მიღწეულ შედეგებზე საუბრობდა სესილი გოგიბერიძე.

"მთავარია, რომ ეს შეხვედრა დატვირთულია უამრავი ახალი საინტერესო პროექტებით, რომლებსაც მომავალში აუცილებლად განვახორციელებთ. ერთ-ერთ მთავარი აქცენტი კეთდება ახალგაზრდა შემოქმედთა ურთიერთობის გაღრმავებასა და განვითარებაზე, რომელსაც უფროსი თაობის წარმომადგენელებმა ჩაუყარეს საფუძველი. საქართველო-უკრაინის კულტურის სამინისტროები ყოველთვის მხარს დაუჭერენ ყველანაირი კულტურული და შემოქმედებით ღონისძიებების განხორციელებას", - განაცხადა უკრაინის კულტურის მინისტრმა იური ბოგუცკმა.

კულტურის სამინისტროდან, მინისტრები და დელეგციის სხვა ოფიციალური პირები თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო ცენტრს ეწვივნენ. უკრაინული კულტურის დღეები სწორედ აქ გაიხსნა. გალერეაში სტუმრების დეკორატიული გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები და თანამედროვე ფოტოგრაფიის გამოფენა მოეწყო.

გუშინვე, საღამოს კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში ხელოვნების ოსტატთა კონცერტი გაიმართა, იქვე ფოიეში კი ბავშვთა ნახატების გამოფენა გაიხსნა.

უკრაინის კულტურის დღეები დღეს გიორგი ლეონიძის სახელობის სახელმწიფო მუზეუმში გაგრძელდება, სადაც უკრაინული და ქართული პოეზიის საღამო გაიმართება. მანამდე კი საქართველოს სტუმრები, მასპინძლებმა სხვადასხვა მნიშვნელოვან კულტრულ ძეგლებსა და ღირშესანიშნაობებს დაათვალიერებინებენ.

კულტურული ღონისძიებების გარდა, კიევის ოფიციალური დელეგაცია პარლამენტში, საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს პრეზიდენტთან მნიშვნელოვან შეხვედრებს გამართავს.

## "ხაბანერა" ბაიანის ფონზე

უკრაინული კულტურის დღეების საზეიმო გახსნის ცერემონიას გუშინ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდმა დარბაზმა უმასპინძლა. ანალოგიური ღონისძიებებისათვის დამახასიათებელი ტრადიციის მიხედვით, ღონისძიება ოფიციალურ პირთა გამოსვლებით დაიწყო. საქართველოს კულტურის მინისტრმა სესილი გოგიბერიძემ და მისმა უკრაინელმა კოლეგამ ქართულ-უკრაინული კულტურული კავშირების მნიშვნელობასა და თავისებურებებზე ისაუბრეს. ოფიციალური ნაწილს კი უკრაინის ხელოვნების ოსტატთა კონცერტი მოჰყვა.

როგორც ჩანს, კონცერტის ორგანიზატორების მიზანი იყო მაქსიმალურად მრავალფეროვნად აესახათ უკრაინული კულტურა. ამ მიზნით კონცერტზე თანამედროვე, კლასიკური და ფოლკლორული მუსიკის ელემენტების გაერთიანება სცადეს. ამ ექსპერიმენტმა კი ერთობ მხიარული ფორმა მიიღო - ბიზესა თუ ლეონკავალოს ცნობილი არიებსა და სიმღერებს უკრაინული ეროვნული ინსტრუმენტების ფონზე, დამეთანხმებით, სხვაგან ვერსად მოისმენდით.

აღსანიშნავია, რომ კონცერტისთვის თბილისში სპეციალურად ჩამოვიდა უკრაინელ მუსიკოსთა საკმაოდ სოლიდური კოლექტივი: საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი უკრაინის ეროვნული ფილარმონიის სახალხო ინსტრუმენტული ანსამბლი; ასევე სოლისტთა დიდი ჯგუფი: უკრაინის დამსახურებული არტისები და სამშობლოში აღიარებული მუსიკოსები - პიანისტი იური კოტი, ორღანისტი ვლადიმირ კოშუბა, აკორდეონზე შემსრულებელი ევგენია ჩერკაზოვა, ჩელისტი – ანა ნუჟა, უკრაინის საოპერო თეატრების სოლისტები – ტატიანა პიმინოვა, დიმიტრი პოპოვი, ალექსანდრ გურეცკი, ალექსანდრ დიაჩენკო და სხვები. თითოეული მათგანი ტრადიციული კლასიკური რეპერტუარის გარდა, უკრაინულ ხალხურ თუ პროფესიული მუსიკის ნიმუშებს ასრულებდა. ჩერკასოვასა და ნუჟას დუეტმა კი მასპინძელთა საამებლად ქართული "საჭიდაოს" ერთობ ორიგინალური ვერსიაც წარმოადგინეს (ვიოლონჩელისა და აკორდეონისათვის).

ვერ გეტყვით, რამდენად ადეკვატურად ასახა კონცერტმა უკრაინულ ხელოვნებაში მიმდინარე პროცესები, თუმცა დამსწრე საზოგადოებამ რამოდენიმე საათი უდავოდ ძალიან მხიარულად გაატარა.

# „არ გაგიკვირდეთ, თუკი ჩემს ახალ ალბომში ჩონგურს მოისმენთ"

### ჟან-პოლ მონიკის თბილისური შთაბეჭდილებები

ვერა ნეფარიძე


ჟან-პოლ მონიკი პრესკონფერენციაზე

თბილისში გატარებული რამდენიმე საათი "ინკოგნიტოს" ლიდერისთვის საკმარისი აღმოჩნდა, რომ თამამად და ზუსტად ესაუბრა საქართველოს ისტორიაზე, დღევანდელობაზე; ესწავლა ჩონგურზე დაკვრა და ეფიქრა ამ ინსტრუმენტის გამოყენებაზე ჯგუფის მორიგ ალბომში. გუშინ ჟან-პოლ (მეტსახელად Bluey) მონიკმა კონცერტამდე რამდენიმე საათით ადრე "შერატონ-მეტეხი პალასში" გამართულ პრესკონფერენციაზე ქართველი ჟურნალისტების შეკითხვებს დიდი მონდომებით უპასუხა.

არანაკლები ენთუზიაზმით გასცა მუსიკოსმა ავტოგრაფები. საერთოდ, მონიკი რომ საოცრად დაუზარებელი ადამიანი აღმოჩნდა, ამის შესახებ გუშინაც ვწერდით აეროპორტში მიღებული შთაბეჭდილებების გათვალისწინებით. გუშინაც იგი ერთადერთი იყო ჯგუფიდან, რომელიც დაგეგმილ პრესკონფერენციას დაესწრო. თუმცა, დანარჩენი თორმეტი წევრის არყოფნა შეხვედრას არანაირად არ დასტყობია – მონიკი საუბრობდა ყველაფერზე, რასაც ეკითხებოდნენ. ბოლოს და ბოლოს, მასზე მეტი "ინკოგნიტოზე" ვის შეუძლია თქვას...

ვიდრე "ინკოგნიტოს" ავტორი "შერატონში" ჟურნალისტებს მასპინძლობდა, ჯგუფის წევრები ქალაქის სხვადასხვა უბნებში იყვნენ დაფანტულნნი. მონიკმა ისინი ქალაქის დასათვალიერებლად "გაუშვა"; თავად თბილისის ღირსშესანიშნაობების, ძირითადად კი ქალაქის ტაძრების დათვალიერება დილით მოასწრო. "ჯგუფის წევრებისგან განსხვავებით დილით ადრე ავდექი და თბილისის ეკლესიები ვნახე. მასპინძელთა კომპანიის წყალობით, ბევრად მეტი ინფორმაცია და სიამოვნება მივიღე, ვიდრე ჩვეულებრივი ტურისტი მიიღებდა", - კმაყოფილება არ დაუმალავს ბრიტანელ სტუმარს. მონიკი თბილისში განსაკუთრებით ხინკალმა მოხიბლა. თუმცა, თავისუფალ დროს მხოლოდ ქართულ სამზარეულოს არ ეცნობოდა. გუშინ დილითაც სასტუმროში მისულმა ჟურნალისტებმა შენიშნეს, როგორი მონდომებით უკრავდა მუსიკოსი ჩონგურზე. "თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მე ვარ ბრიტანეთის N1 მეჩონგურე და არ გაგიკვირდეთ, თუკი ჩემს ახალ ალბომში ჩონგურსაც მოისმენთ", - კონკრეტულად ამ ჩანაფიქრის შესახებ სტუმარს მეტი აღარაფერი უთქვამს. არც ის დაუდასტურებია, შეპირებულ სიურპრიზებს შორის "აჭარა მიუზიკ ჰოლში" გამართულ კონცერტზე ხომ არ გეგმავდა ამ საკრავის გამოყენებას. "უბრალოდ ვიტყვი, რომ ძალიან მიყვარს სიურპრიზები. და ისიც ვიცი, რომ კონცერტზე იქნება რაღაც, რაც ვფიქრობ, რომ მხოლოდ აქ უნდა შევასრულო. ეს იქნება ისეთი რამ, რაც არც ერთ ჩვენს ჩანაწერში არ არის", - მონიკი საკმაოდ დამაჯერებლად აინტრიგებდა გუშინ ქართველ ჟურნალისტებს.

გუშინდელი კონცერტი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იყო "ინკოგნიტოს" ვოკალისტი ქალბატონის ჯოი როუზისთვის. როუზი "აჭარა მიუზიკ ჰოლის" სცენაზე უკანასკნელად გამოვიდა ამ ბრიტანული ეისიდ-ჯაზ პროექტის შემადგენლობაში. საქმე იმაშია, რომ მომღერალს მიწვევა აქვს მიღებული სტინგისგან; მან მონაწილეობაც მიიღო სტინგის ბოლო ალბომის ჩაწერაში, მომავალი წლიდან კი ცნობილი ბრიტანელი მუსიკოსის ჯგუფთან ერთად ტურნეში გაემგზავრება. "არც მწყინს, როდესაც ჩვენი ბენდის წევრები მიწვევებს იღებენ სხვა მუსიკოსებისგან და ტოვებენ "ინკოგნიტოს". პირიქით, მსიამოვნებს, რომ ჩვენი ჯგუფი გარკვეული სკოლის ფუნქციას ასრულებს", - გვითხრა ჟან-პოლ მაუნიკმა. თუ როგორ ასრულებს "ინკოგნიტო" ამ ფუნქციას, ეს შეგიძლიათ ჰკითხოთ მსოფლიოს ცნობილ ვარსკვლავებს (მათი რაოდენობა არც ისე ცოტაა), რომელთაც წლების განმავლობაში მიჰყავდათ "ინკოგნიტოდან" მუსიკოსები და ეს პროცესი ჯერ კიდევ გრძელდება.

# „შენს სულს გადაარჩენს როკ-ენ-როლი"

### იცნობდეთ: დეფი

ანა კორძაია-სამადაშვილი

პიროვნება დავით გოგიბედაშვილი ჩემს ცხოვრებაში მაშინ გაჩნდა, როცა ოთარ იოსელიანის "ყაჩაღები" ვნახე. ძალიან მომეწონა. მერე აღმოვაჩინე, რომ სატელევიზიო გადაცემაც ჰქონდა და რომ ამჟამად მწერალია. მართალია, ეს უკანასკნელი ამბავი თვითონაც საკმაოდ გვიან აღმოუჩენია.

დავით-დეფმა წერა 28 წლის ასაკში დაიწყო. მანამდე, მისივე თქმით, ეს აზრადაც არ მოსვლია და არც მწერლები მოსწონდნენ მაინცდამაინც – დადიან, რაღაცას წერენ... ის კი გერმანულ ლიტერატურას კითხულობდა, თომას მანსა და ჰერმან ჰესეს. მერე კი წერა დაიწყო. დავით-დეფს გაუმართლა, თუ დრო დაუდგა, თუ უცებ მოუნდა – როგორც გენებოთ. მთავარია, რომ წერა დაიწყო და დაწერა თავის პირველი მოთხრობა - "სკამი".

ყოველთვის მეგონა, რომ ამ კაცს მხოლოდ დავითი ერქვა, და დეფს უახლოესი მეგობრები ეძახდნენ. ცხადია, ამ "მეტსახელით" არასოდეს მიმიმართავს. გუშინ კი გავარკვიე, რომ მას ორივე სახელი თანაბარი წარმატებით ჰქვია – დავით-დეფი გოგიბედაშვილი. დეფი კოლხური სახელია, და წყალზე არეკლილ სხივებს, ათინათს ნიშნავს.

ეს ისე, ლირიული გადახვევა იყო. მთავარი ისაა, რომ გუშინ, წიგნის მაღაზია "პარნასში" დავით-დეფი გოგიბედაშვილის რომანის, "დეკემბრის თილისმას" პრეზენტაცია გაიმართა, რომელზეც ორი მიზეზის გამო მივედი: დეფის კრებული "ჩემმა ტყუპისცალმა მიპოვნოს" უკვე წაკითხული მქონდა, თან თავად ავტორის მიმართ დიდი სიმპატიით ვარ განწყობილი, და რაც არ უნდა იძახონ, რომ ადამიანი ერთია, და მისი შემოქმედება – სხვა, ამას არასოდეს დავიჯერებ. თუნდაც "დეკემბრის თილისმას" გარეკანზე დეფის პორტრეტის ავტორი, გურამ წიბახაშვილი ავიღოთ: რაც არის, იმას იღებს, და მე ერთიც მომწონს და მეორეც.

დღეს "პარნასში" დავით-დეფის სამი წიგნის შეძენა შეიძლება - თაროებზე "ჩემმა ტყუპისცალმა მიპოვნოს", "P.S."-სა და "დეკემბრის თილისმას" სულ იოლად იპოვნით. ავტორი გვპირდება, რომ მომავალ წელს კიდევ ორ რომანს მოგვართმევს: "დილა სასწაულების წინ", რომლის მოქმედებაც მესოპოტამიაში ხდება, ტიბერიუსიდან ნერონამდე, ხოლო მეორე რომანის, "მირანდას ბაღის" გმირი თავად ანტონ ჩეხოვი გახლავთ.

დავით გოგიბედაშვილი თვლის, რომ ცხოვრებისეული გამოცდილების არმქონე ადამიანი ლიტერატურას ვერ შექმნის. ის, რასაც ადამიანის გონი და გული არ შეხებია, დაწერის შემდეგ ფასეული არ იქნება. მან მიამბო, რომ ღამ-ღამობით მის ფანჯრებთან ხშირად სროლა და ბათქა-ბუთქია გამართული, ვიღაცა იგინება, ვიღაცა ცოლს სახლიდან აგდებს... დიახ, ეს რეალობაა, მაგრამ ამის შესახებ წერა არაფრის მომცემია – ნაწარმოებს "ზეგინდელი მკითხველი" უნდა ჰყავდეს, მაშინაა ის მნიშვნელოვანი და ფასეული.

დავით-დეფი თავის გმირებს მართლაც შემოქმედივით ექცევა, საკმაოდ დაუნდობლად: ქმნის და შემდეგ ათასგვარ წინააღმდეგობას ახვედრებს - აბა, ვნახოთ, რას იზამს, როგორ გამოძვრება? თუმცა, ავტორის სათაყვანებელ ფოლკნერს უთქვამს, "ადამიანი გაუძლებს და გაიმარჯვებსო".

თუკი დაინტერესდებით, რას უძლებენ და რაზე იმარჯვებენ დეფის გმირები, "პარნასს" ეწვიეთ – როგორც მოგახსენეთ, მისი წიგნები იქ იყიდება.

**P.S.** ალბათ იკითხავთ – და რა შუაშია როკ-ენ-როლიო? საქმე ისაა, რომ "პარნასთან", ყავის სახლის წინ ჩამომჯდარი ავტორი მიყვებოდა, რომ ახალი მკითხველი ახალ პროზას ითხოვს, ძლიერს, ნამდვილს, სულშიჩამწვდომს - ისეთს, როგორიც როკ-ენ-როლია. და უცებ ჭავჭავაძეზე ახალგაზრდამ ჩაიარა, რომლის მაისურსაც წარწერა ამშვენებდა – სწორედ ის სიტყვები, რომლებიც სათაურად გამოვიყენე. იმიტომ გამოვიყენე, რომ გუშინდელი დღე, რომელიც ჟან-პოლ სარტრის, აკაკი წერეთლისა და დავით-დეფი გოგიბედაშვილის დაბადების დღე იყო, სწორედ ასეთი გამოვიდა, როკ-ენ-როლური.


დეფი დაბადების დღეზე ავტოგრაფებს არიგებს

ლევან ხერხეულიძის ფოტოები

ინფოთეკა

## შეფერის შურისძიება

პარიზში მიმდინარე კონფედერაციის თასზე ერთი მოსალოდნელი უცნაურობა მოხდა- კამერუნის ნაკრებმა მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონ ბრაზილიელებს მოუგო. "პენტაკამპეონეთა" ტურნირიდან გამოვარდნა მოსალოდნელი იმიტომ იყო, რომ სამხრეთამერიკელები თავიანთი ვარსკვლავების გარეშე თამაშობდნენ. საფრანგეთში არ იყვნენ "მილანის" ნახევარმცველი რივალდო და მადრიდის "რეალის" ვარსკვლავები რონალდო და რობერტო კარლოსი, რომელთაც ესპანეთის ჩემპიონობისთვის ბრძოლა ამჯობინეს კონფედერაციის თასს. მართალია, ბევრი ფიქრობდა, რომ მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონები ლიდერების გარეშეც მოახერხებდნენ წარმატების მოპოვებას, მაგრამ ვინფრიდ შეფერის კამერუნელმა "ლომებმა" "სელესაო" მოურიდებლად გაისტუმრეს სახლში. "მაიორკას" ფორვარდ სამუელ ეტოოს ერთი გოლი სავსებით საკმარისი აღმოჩნდა ბრაზილელების დასამარცხებლად.

მატჩის შემდეგ უსაზღვროდ ბედნიერი ჩანდა კამერუნელთა გერმანელი თავკაცი ვინფრიდ შეფერი, რომელმაც განაცხადა, რომ მისმა გუნდმა შური იძია ბრაზილიელებზე 2002 წლის მუნდიალში გერმანიის ნაკრების დამარცხებისთვის. "კამერუნის პრეზიდენტმა დამირეკა და წარმატებმა მომილოცა. ძალიან მიხარია, რომ გერმანიის ნაკრების ნაცვლად შური ვიძიე ბრაზილიელებზე. თამაშის მერე ისე გაბრაზებულები იყვნენ, რომ ჩვენი დანახვაც კი აღარ უნდოდათ. ამ შეხვედრის შემდეგ კამერუნელი ფეხბურთელების აქციები ერთი ორად მოიმატებს,"- ამაყად აღნიშნა შეფერმა.

## ნადირობა ევროპის ყველაზე უარეს ფორვარდზე

გერმანელი კარსტენ იანკერი ევროპის ყველაზე წარუმატებელი თავდამსხმელია. მთელი ორი სეზონის განმავლობაში ის იმდენად ცუდად თამაშობდა, რომ დაცინვით სამშობლოში "ნულ-გოლ-ფორვარდი" შეარქვეს. ამის მიუხედავად, შარშან ის იტალიურმა "უდინეზემ" სიამოვნებით შეიძინა. უდინელებმა სამი მილიონი ევროც კი გადაუხადეს მიუნხენის "ბაიერნს" იანკერის კონტრაქტის გამოსასყიდად.

იანკერმა "უდინეზეში" თავი ვერაფრით გამოიჩინა. მან მხოლოდ ერთი გოლის გატანა მოახერხა ვერონას "კიევოს" კარში. ასეთი წარუმატებელი სეზონის მიუხედავად, გერმანელი ფორვარდი ბუნდესლიგაში დაბრუნებას აპირებს და მასზე კლუბებს ციალობაც კი აქვთ. "ბაიერი", "შტუტგარტი" და "ჰანზა" "უდინეზეს" დათანხმებას ცდილობენ. არც არის გასაკვირი. იანკერი დღეს საკმაოდ იაფი ღირს. ამ თავდამსხმელს ნამდვილად აქვს დიდი პოტენციალი, რომელიც გამოვლენას საჭიროებს. ყველაზე მეტად იანკერის შეძენა გერმანიის ვიცე-ჩემპიონ "შტუტგარტს" უნდა, რომელიც მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში ასპარეზობისთვის ემზადება და ისეთ ფეხბურთელებს ეძებს, რომელთაც ლიგაში თამაშის დიდი გამოცდილება აქვთ.

## Bye Bye England, Hola Espana

ასე ერქმევა დევიდ ბექჰემისა და ვიქტორია ადამსის გამოსამშვიდობებელ წვეულებას, რომელიც მომავალ შაბათს გაიმართება ლონდონის ელიტურ "ნელს ბარში". ამჟამად დევიდი და ვიქტორია იაპონიაში არიან სარეკლამო ტურნეში, მაგრამ ვიქტორია სიტუაციას აზიიდან კურირებს. ყოველ დღე ურეკავს მეგობრებს და მითითებებს აძლევს, თუ როგორი უნდა იყოს ზეიმი. უკვე ცნობილი გახდა, რომ ბექჰემები ამ წვეულების მოსაწყობად 300 000 ევროს გაიღებენ. მოწვეული სტუმრები, რომელთა შორის ნამდვილად არ იქნება ბექჰემის ამღზრდელი და ვიქტორიას ფარული მტერი სერ ალექს ფერგიუსონი, მთელი ღამე იმხიარულებენ. რაკი ბექჰემი ინგლისიდან ესპანეთში მიდის, ზეიმი ესპანური შტრიხებითაც იქნება გამდიდრებული - დალევენ სანგრიას, შეჭამენ ტაპას, იცეკვებენ ფლამენკოს...

ვიქტორიას სურვილით, ბექჰემთან გამოსამშვიდობლად მოვლენ "სპაის გერლზის" ოთხივე წევრი, ვიქტორიას მეგობარი ლიზ ჰარლი, ნაომი ქემპბელი, ბექჰემის მუსიკის მასწავლებელი ელტონ ჯონი, "მანჩესტერ იუნაიტედის" ფეხბურთელები.. მოკლედ, დიდი ღრეობაა დაგეგმილი, თუმცა ეს ნამდვილად არ არის სახსენებელი იმ ორგიასთან, რომელიც ბექჰემებმა შარშან მოაწყვეს, მუნდიალის მოახლოებასთან დაკავშირებით. მაშინ ზეიმის გასამართად 6 მილიონი ევრო დაიხარჯა, თუმცა ვიქტორიას ფულზე არც მაშინ უდარდია და არც ახლა აწუხებს ეს პრობლემა. მან ხომ ყველაზე დიდი ოცნება აიხდინა და "ბექსი" "რეალში" გადაიყვანა. ჰოდა, რა დროს ფულზე ლაპარაკია? გარდა ამისა, რატომ არ უნდა მისცეს საკუთარ თავს გართობის უფლება, მას ხომ მადრიდში კვირაში 128 000 ევროს დაპირდნენ?

TV-სპორტი

### კვირა. 22 ივნისი

**НТВ + ФУТБОЛ**

13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 განვლილი სეზონის გახსენება. გერმანიის ჩემპიონატი. "ბავარია" – "ბორუსია"
15:00 ჩემპიონთა ლიგის არქივი. 98/99 სეზონი. "მანჩესტერ იუნაიტედი" – "ინტერი"
16:45 განვლილი სეზონის გახსენება. იტალიის ჩემპიონატი. "იუვენტუსი" – "მილანი"
18:30 "FUTBOL MUNDIAL"
19:00 თავისუფალი დარტყმა
19:15 სახვალიო ტელეპროგრამა
19:20 განვლილი სეზონის გახსენება. გერმანიის ჩემპიონატი. "ვერდერი" – "კაიზერსლაუტერნი"
21:05 ჩემპიონთა ლიგის არქივი. 98/99 სეზონი. "რეალი" – "დინამო" (უკრაინა)
22:50 ბრაზილიის ჩემპიონატი. მიმოხილვა
23:25 "პოსტსკრიპტუმი"
23:55 ესპანეთის ჩემპიონატი. "რეალი" – "ატლეტიკი". პირდაპირი ტრანსლაცია
01:50 ბრაზილიის ჩემპიონატი. "პონტე პრეტა" – "კორინთიანსი"

**НТВ + СПОРТ**

06:00 პროფესიონალური კრივი. ლენოქს ლუისი – ვიტალი კლიჩკო. პირდაპირი ტრანსლაცია ლოს ანჯელესიდან
11:00, 14:15, 17:00, 20:15, 22:30 პრეს-ცენტრი
11:15, 22:45 "ოლიმპის შვილები"
11:20 აერობიკა
11:45 პროფესიონალური კრივი
13:45 "ჩქაროსნული სამყარო"
14:30 კალათბურთი. WNBA-ს ჩემპიონატი
16:00 ჩოგბურთი
16:30 საჭადრაკო მიმოხილვა
17:15 სპორტული ცეკვები. პროფესიონალთა გრან-პრი
19:15 ჩოგბურთი
20:30 პროფესიონალური კრივი. ლენოქს ლუისი – ვიტალი კლიჩკო
22:25 ჩოგბურთი. "უიმბლდონის დიდი მატჩები"
22:50 სახვალიო ტელეპროგრამა
22:55 კარატე. მსოფლიოს ჩემპიონატი
23:55 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. "რეალ სოსიედადი" – "ატლეტიკო". პირდაპირი ტრანსლაცია. შესვენებისას (00:45) ახალი ამბები
01:50 ავტორბოლა. რუსეთის ჩემპიონატი. შესვენებისას (01:15) ახალი ამბები

**EUROSPORT**

11:30 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი კვიპროსში
12:00 ფეხბურთი. კონფედერაციის თასი
13:00 ნიჩბოსნობა. მსოფლიო თასი
15:00 სუპერბაიკი. მსოფლიოს ჩემპიონატი სან მარინოში
16:00 სუპერსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი სან მარინოში
17:00 მძლეოსნობა. ევროპის თასი იტალიაში
20:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური შვეიცარიაში
20:45 ახალი ამბები
21:00 ჩოგბურთი. ATP ტურნირი. ჰოლანდია
22:00 სუპერბაიკი. მსოფლიოს ჩემპიონატი სან მარინოში
22:30 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
23:45 ფეხბურთი. კონფედერაციის თასი
00:00 ფეხბურთი. კონფედერაციის თასი
02:00 ფეხბურთი. კონფედერაციის თასი
03:00 ახალი ამბები
03:15 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი კვიპროსში
03:45 ავტორბოლა. მსოფლიო სერია. აშშ
04:45 ახალი ამბები
05:15 ახალი ამბები

**Fox Kids**

# მელაკუდები და წითელქუდები როტერდამში შეიკრიბნენ

პირველი გვერდიდან

მოხსნილი, შემდეგ კი საკუთარ ხელით გახსნილი "კოკა-კოლათი" გაუმასპინძლდა. უყურადღებოდ არც მშობლები დარჩენიათ. მცირე ექსკურსიის შემდეგ ქარხნის ეზოში გამოსულ ბავშვებს სიურპრიზი ელოდათ. თუმცა სიურპრიზით ბავშვებზე მეტად აღტაცება მშობლებმა გამოხატეს. "კოკა-კოლას" პრეზიდენტმა აქაოდა შუაგულ ევროპაში ჯიბის ფულის გარეშე როგორ გაგიშვებთო, თითოეულ გოგო-ბიჭს 50-50 ევრო უფეშქაშა და იქვე საკუთარი "მწარე" გამოცდილებიდან მაგალითიც მოუყვანა: "როდესაც თქვენხელა ვიყავი, ხანდახან ფულს მეც მჩუქნიდნენ, რომელსაც დედაჩემს შესანახად ვაძლევდი, ჩემ გემოზე კი ველარ ვხარჯავდი. ამიტომაც, გირჩევთ ეს ფული თქვენთვის შეინახოთ".

მწვრთნელებმა კი პირობა დადეს, აი იქ, "ფოქს კიდსის თასს" რომ მოვიგებთ მასში "კოკა-კოლას" ჩავასხამთო, რაზეც ჭყონიამ "თასი თქვენზე იყოს, "კოკა-კოლა" ჩემზეო, დაამატა.

"დარწმუნებული ვარ "ფოქს კიდსის" თასის გათამაშება ქართველი ბავშვებისთვის წარმატებული იქნება. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი რანგის შეჯიბრებაზე პირველად ვიასპარეზებთ. ფეხბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ხაშურის გუნდმა რომ მოიპოვა ასპარეზობის უფლება, ამას ვინმე წარმოიდგენდა? რატომღაც მგონია, რომ გამარჯვებულებიც სწორედ ხაშურელი გოგონები იქნებიან. თელაველებისაც მეიმედება, მაგრამ მაინც მგონია, რომ "ფოქს კიდსის თასს" გოგონები დაეუფლებიან", - პროგნოზი გააკეთა თემურ ჭყონიამ.




წითელი ქუდები "მელაკუდებისთვის".

### უახლესი ისტორიიდან

საქართველოს ტერიტორიაზე "ფოქს კიდსის" თასზე მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირები გაიმართა, რომლის ორგანიზაციული მხარეც საკუთარ თავზე სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2-მა" აიღო. წამოწყებულ საქმეში "რუსთავი 2-ს" გვერდში ამოუდგნენ პარტნიორი რეგიონალური ტელეკომპანიებიც და საქმეც დაიძრა.

"ფოქს კიდსის" დასკვნით ეტაპამდე საქართველოს 27 ქალაქში შესარჩევი ეტაპები გაიმართა და მასში 3 ათასზე მეტმა ბავშვმა იასპარეზა. შესარჩევი ეტაპების დასრულების შემდეგ გამოვლინდნენ ისინი, ვინც როტერდამის ფინალურ ეტაპზე ასპარეზობის საგზურს დაეუფლნენ. გოგონებს შორის საუკეთესო ხაშურის "დიანა" აღმოჩნდა, ხოლო ბიჭებში ასეთი თელავის "ნადიკვარია".

საქართველოს დელეგაცია როტერდამისკენ გუშინ გაემგზავრა. რაც შეეხება ტურნირს, მასში მსოფლიოს 20 ქვეყანა იასპარეზებს. თითოეული გუნდი დაკომპლექტებულია 10-10 მოთამაშით (6 ძირითადი და 4 სათადარიგო). "ფოქს კიდსის" წლევანდელი გათამაშება იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ იგი ქართველი ბავშვებისთვის სადებიუტოა. აი, ისინიც **გოგონები:** თეა ციცქიშვილი (კაპიტანი), გვანცა ხვედელიძე, თამარ შუბითიძე, ნათია გონგლაძე, თამთა მალიძე, მარიანა ივანიშვილი, მარიამ ესიკოვი, თინა ლომიძე, ინა ბიჭიკაშვილი, თინათინ ლომიძე და **ბიჭები:** გიგა მელიქიშვილი (კაპიტანი), გიორგი არაბული, ბექა დათიშვილი, ალექსანდრე ალადაშვილი, გიორგი ბერგიშვილი, ბექა ხუციშვილი, ლაშა ქუფარაშვილი, ირაკლი დეკანოზიშვილი, გელა გიორგანაშვილი.

### ბასტი-ბუბუ რედაქციაში

პრესკონფერენციაზე ბავშვები ასე თუ ისე, შეძლებისდაგვარად ცდილობდნენ, ჩუმად ყოფილიყვნენ, თუმცა ბოლომდე მაინც ვერ ისვენებდნენ და ერთ ადგილზე ცქმუტავდნენ. პრესკონფერენციის დასრულების შემდეგ კი "24 საათის" რედაქციის დერეფანს მოედნენ. ჩვენ კი პატარა მელაკუდებში (დაახლოებით ასე ჟღერს ქართულად "ფოქს კიდსი") გავერიეთ და ერთგვარი დაკითხვა მოვუწყეთ.

**- საჩუქრები თუ მიგაქვთ?**

- როგორ არა, წიგნები, ქართულ ეროვნულ ტანისამოსში გამოწყობილი თოჯინები.

იცით ვინ მოგვცა თოჯინები?

- არა, არ ვიცი.

- "რუსთავი 2-ში" დაგვირიგეს

**- რამე თუ გსმენიათ ჰოლანდიაზე, იცით სად მიდიხართ?** – კითხვაზე ბავშვები კიდევ უფრო გამოცოცხლდნენ და ერთმანეთს ასწრებდნენ პასუხის გაცემას.

- როგორ არა, იქ "ფეიენოორდი" თამაშობს.

**- კიდევ რა იცით?**



თემურ ჭყონია: კოკა-კოლა ჩემზე იყოს...

ისა, რემბრანდტი და ბეატრისი. ჰო, კიდევ ვან გოგი.

**- ბეატრისზე რა გსმენიათ?**

- ჰოლანდიის დედოფალია, კარგი ქალიაო.

შემდეგ აქეთაც შემომიბრუნეს კითხვა, აბა ნიდერლანდები რას ნიშნავსო. გული არ დავწყვიტე, ვუთხარი პირველად მესმის-მეთქი. ამის თქმა იყო და ეშმაკურად ჩაიცინეს. ისტორიის მასწავლებელი ვარ, ახალდაბაში გავიარეთ შეკრება და ფიზიკურ მომზადებასთან ერთად ისტორიის გაკვეთილებსაც გავდიოდით,- "გამოტყდა" მოგვიანებით გოგონათა გუნდის მწვრთნელი თემურ კობერიძე.

**როგორი განწყობაა ბავშვებში, როგორ უყურებენ მომავალ ასპარეზობებს?-** ვეკითხები თემურს.

- მართალია, გოგოები არიან, მაგრამ ისეთი განწყობა აქვთ არავის არ ჩამოუვარდებიან. ამერიკელები და ბრაზილიელები რას მიქვიანო, აცხადებენ. ყველას უნდა მოვუგოთო.

კრივი

# დიდი ბრძოლის წინ

## ლუისი კლიჩკო: ვინ ვინ არის?

მიხეილ აბაიშვილი

დღეს ლოს-ანჟელესის არენა "სტეიპლს ცენტრში" გაიმართება ორთაბრძოლა, რომელსაც მსოფლიო წელიწადზე მეტია ელის. ყველაზე პრესტიჟულ, სუპერმძიმე წონაში (86,2 კილოგრამს ზემოთ) მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის დაცვას შეეცდება ბრიტანელი ლენოქს ლუისი, რომელსაც ქამარს საბჭოური საკრივო სკოლის აღსაზრდელი, უკრაინელი ვიტალი კლიჩკო შეეცილება. ეს ორთაბრძოლა თბილისის დროით დილის რვა საათზე დაიწყება და როდესაც ამ სტრიქონებს კითხულობთ, იგი ალბათ უკვე დასრულებულიც იქნება. და მაინც, ბევრი თქვენთაგანისთვის, ალბათ საინტერესო იქნება, თუ რა მახასიათებლებით მივიდნენ ეს მოკრივეები ამ ბრძოლამდე.

### ფიზიკური პარამეტრები

*ლუისი* 37 წლის, 193 სმ, 116 კგ.
*კლიჩკო* 31 წლის, 201 სმ, 112,5 კგ.

### გამოცდილება

*ლუისი 40-2-1 (31 ნოკაუტი)*

ლუისი თავის მეტოქეს აღემატება არა ბრძოლათა რაოდენობით, არამედ - ხარისხით.ბოლო ათი წლის განმავლობაში იგი იმის მეტს არაფერს აკეთებს, რომ იბრძვის ისეთ ორთაბრძოლებში, სადაც ფსონი საჩემპიონო ქამარია. შესაბამისად, მშვენივრად მოეხსენება, თუ რით განსხვავდება ასეთი ბრძოლები ჩვეულებრივი სარეიტინგო ბრძოლებისგან. ამას გარდა, ლუისს თანამედროვეობის ყველა უძლიერეს მოკრივესთან შერკინების მდიდარი გამოცდილება აქვს, რის გამოც, წესით, ინგლისელისთვის რინგზე გადაუწყვეტელი ამოცანა არც უნდა არსებობდეს.

*კლიჩკო 32-1-0 (31 ნოკაუტი)*

სოლიდური ასაკის მიუხედავად, კლიჩკო-უფროსისთვის ლუისთან ბრძოლა პირველი მართლაც სერიოზული საჩემპიონო დაპირისპირებაა. მიუხედავად იმისა, რომ ვიტალის WBO-ს საჩემპიონო ქამრისთვის უჩხუბია და კრივის სამყაროში ამ საკმაოდ ავტორიტეტული ასოციაციის ვერსიით ჩემპიონის ქამარსაც ფლობდა, სამ წამყვან საკრივო ასოციაციას და დანარჩენებს შორის ისეთი დიდი სხვაობაა, რომ საჩემპიონო ტახტზე ასვლის პრეტენზიებისთვის კლიჩკოს გამოცდილების საკმარისად ჩათვლა არ იქნებოდა გამართლებული. ამასთან, უკრაინელ მოკრივეს ჯერ არცერთხელ არ უჩხუბია ისეთი მაღალი კლასის რინგის ოსტატთან, როგორიც ლუისია.

### ტაქტიკა

*ლუისი*

ლუისის შტაბში საკრივო ხელოვნების ისეთი მეტრის ყოლა, როგორიცაა ემანუელ სტიუარტი, მსოფლიო ჩემპიონს ნებისმიერ მეტოქესთან შეხვედრის წინ დიდ "ფორას" ანიჭებს. სტიუარტის პატრონაჟის ქვეშ მსოფლიო ჩემპიონის ქამარი იმდენმა მოკრივემ მიიზომა, რომ დროა ვისაუბროთ მასზე, როგორც ლუისის გამარჯვების მთავარ გარანტზე. აღსანიშნავია ისიც, რომ თავად ინგლისელ მოკრივეს სხვების დაუხმარებ-







ლუისი და კლიჩკო აწონვის ცერემონიალზე.

ლადაც ძალუძს ბრძოლის ტაქტიკის ისე წარმართვა, რომ ბევრ გამოცდილ მწვრთნელს შეშურდება, რაც თავისი კარიერის მანძილზე არა ერთხელ დაუმტკიცებია. ტაქტიკა ლუისის მთავარი "კოზირია", მის მიერ ორგანიზებული დაცვის ხაზის გარღვევა ერთეულებს თუ მოუხერხებიათ.

*კლიჩკო*

ბრძოლის ამ კომპონენტში კლიჩკო აშკარად ჩამოუვარდება მეტოქეს. უკრაინელის მწვრთნელს, ფრიც ედუნეკს არაერთხელ დაუმტკიცებია საკუთარი ტაქტიკური სისუსტე. ამის უახლეს მაგალითად გამოდგება გაზაფხულზე უმცროსი კლიჩკოს დამარცხება კორი სანდერსთან, რომელშიც უკრაინელს სეკუნდანტობას სწორედ სანდერსი უწევდა. ეს ბრძოლა ვიტალის ძმამ სწორედაც რომ არასწორად შერჩეული ტაქტიკის გამო დათმო. ძმებმა მწვრთნელი არ გამოცვალეს, ამიტომაც, წინასწარ ვარაუდი, თუ როგორ ტაქტიკას აირჩევენ ვიტალი კლიჩკო და სანდერსი, შეუძლებელია. კლიჩკოს გულშემატკივრებს იმის იმედიღა უნდა ჰქონდეთ, რომ მწვრთნელი და მოკრივე ადრე დაშვებული შეცდომებისგან ბევრ სასარგებლო დასკვნას გამოიტანდნენ.

### დარტყმა

*ლუისი*

მიუხედავად იმისა, რომ ლუისი ბრძოლების უმეტესობას მოწინააღმდეგის ნოკაუტში გაგზავნით ასრულებს, გადამწყვეტი დარტყმის მიყენებისთვის მას მეტოქის "დახმარება" ესაჭიროება. მოწინააღმდეგემ ან უხეში შეცდომა უნდა დაუშვას და ლუისისთვის ხელსაყრელ მომენტში "გაიხსნას", ან იმდენად დაიღალოს, რომ ლუისის არც ისე აქცენტირებული და ძლიერი დარტყმის შემდეგ ზღართანი მოადინოს.სხვა საქმეა, რომ მსოფლიო ჩემპიონმა კარგად იცის, თუ როგორ აიძულოს მოწინააღმდეგე, რომ საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ "დაეხმაროს" მას.

*კლიჩკო*

მარჯვენათი დარტყმა კლიჩკო-უფროსის ერთადერთი უდავო უპირატესობაა. სწორედ ამ დარტყმის წყალობით მიიღო მან მრისხანე მეტსახელი – "ურო" და სწორედ ამ დარტყმით მოიგო მან თავის ბრძოლათა უმეტესობა. თუ ვიტალი ლუისის დაცვის ხაზში ხარვეზის აღმოჩენას შეძლებს და ინგლისელის ნიკაპს, რომელიც, კრივის სამყაროში "შუშის ნიკაპად" არის მონათლული, მარჯვენას მიაწვდენს, ბრძოლა შეიძლება სწრაფადაც დასრულდეს.

### საზოგადოებრივი აზრი

მას შემდეგ, რაც ლუისმა ატლანტიკის მეორე მხარეს წაიღო სამივე პრესტიჟული საჩემპიონო ქამარი, ჩრდილოეთ ამერიკა მას თავის უპირველეს მტრად მიიჩნევს და თითქმის ბენ ლადენს უთანაბრებს. უარყოფითი გმირის იმიჯის მქონე ტაისონთან შეხვედრაშიც კი ამერიკელებმა თანამემამულეს დაუჭირეს მხარი. ლუისს არც ასოციაციების ხელმძღვანელები სწყალობენ მაინცა და მაინც. ბრიტანელს ძალზე ხშირად დაუმტკიცებია საკუთარი დამოუკიდებლობა – იმის გამო, რომ მისთვის მეტოქის არჩევის პრიორიტეტი არ ჩამოერთმიათ, მოპოვებულ ტიტულებზე არა ერთხელ უთქვამს უარი. ამიტომაც, თუ იგი კლიჩკოსთან დამარცხდება, ალბათ, მთელი ამერიკა ამ ფაქტს აღფრთოვანებული შეხვდება, მიუხედავად იმისა, რომ ძმებ კლიჩკოებისადმი ამერიკელებს აბსოლუტურად ინდეფერენტული დამოკიდებულება აქვთ.



**თბილისის ბაირონის სკოლა აცხადებს მოსწავლეთა მიღებას ორი ფორმით:**

**ქართულ-ინგლისური საშუალო სკოლა I-V კლასის ჩათვლით. ინგლისური ენის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის კულტურის შემსწავლელი დამატებითი სკოლა 5-დან 16-წლამდე.**

**მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა 2. ტელ: 99-04-91.**

განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური“ გთავაზობთ:

კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:

- კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel,
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

მისამართი: ი. ჭავჭავაძის №25 ტელ:29-48-61


გაზეთი 24 საათი

უფასო განცხადებების კუპონი

22.06.03 N-169

## აფიშა

### საგამოფენო დარბაზები

- **TMS**

დავით ყიფიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა

- **„ქარვასლა“**

პოლონური პლაკატის გამოფენა

- **N გალერეა**

პეტრე ბლიოტკინის 100 წლისთავის იუბილესადმი მიძღვნილი გამოფენა

- **„კავკასიური სახლი“**

პაატა კლდიაშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

### კინოთეატრები

- **„ამირანი“**

“თალკი”

დას: 13:00; 17:30; 22:00 სთ; ფასი 7,8 ლარი

“დანიშნულების ადგილი”

დას: 15:30; 20:00 სთ; ფასი 7,8

- **„ელისო“**

“დიდი ძარცვა”

დას: 15:00; 19:00 სთ; ფასი 5 ლარი

“ზემოდან ხედი უკეთესია”

დას: 17:00; 21:00 სთ; ფასი 5,7 ლარი

## TV პროგრამა 22 ივნისი

### რუსთავი - 2

08.00 კლასიკა
09.00 კურიერი
09.20 დრაკონთა მომთვინიერებლები
10.00 ფიფქია
10.45 „ოქროს ვარდის გამოქვაბული“
12.00, 15.00 კურიერი
12.20 სიმფსონები
12.50 მხ.ფილმი
15.20 მხ. ფილმი
17.10 სერიალი „კოლომბო“
18.00, 00.00 კურიერი
18.20 სერიალი „კოლომბო“
19.00 მხ. ფილმი
21.00, 01.00 კურიერი
21.45 ჩვენი ეზო
22.00 60 წუთი
23.00 „ჯეოსელის კინოკლუბი“ - „უდაბნოს დედოფალ პრისცილას თავგადასავალი“ 877 45-79-25 ტერენს სტემპი, ხიუგო უივინგი,“სტიკსი“ 877 45-79-26, პაიტერ უელერი, ბრაიან ბრაუნი, „მთვარე 44“ 877 45-79-27 მაიკლ პარე, მალკოლმ მაკდაუელი.
01.15 მხ.ფ. „უხამსი წინადადება“ მთ. რ-ში: დემი მური.
03.15 კლასიკა.

### პირველი არხი

08.00 მოამბე
08.15 მხ. ფილმი „ყველაფერი სიყვარულზე“
10.00 „დილის პაემანი“
11.05 „დიდი დასვენება“
11.35 მოგზაურობა სასიტყვეთში
12.05 კონცერტი ბავშვებისთვის
12.40 „პრეს-სტუდია“
13.30 დოკ. სერიალი „ბრიუგი“ მე-2 ს.
14.10 საკვირაო გამოფენა
14.25 არათბილისური ამბები
15.00 მოამბე
15.15 სატ. სპექტაკლი „ადამიანი იბადება ერთხელ“
16.30 ქსოვრელები მღერიან
17.35 მულტსერიალი „დაკარგული სამყაროს თავგადასავალი“
16.55 მღერის ნანული აბესაძე
18.00 ტაიმ-აუტი.
18.20 „ფრაგმენტები სურათისთვის“
18.50 ჩემპიონი
19.25 ჩვენი მისამართია
20.00 ტაიმ-აუტი
20.55 დოკ. ფილმი „მონანიებულნი“
21.50 მეალომანია
22.30 მხ. ფილმი „ოჰ ეს საშინელი, საშინელი ტელევიზორი“
00.00 ტაიმ-აუტი
00.30 მხ. ფილმი „უზენაესი“.

### პირველი სტერეო

09.00 მუსიკა
10.00 ტოროლა
13.00 ფილმი
15.00 მუსიკა
16.00 ფილმი „ინდიანა ჯონსი და უკანასკნელი ჯვაროსნული ლაშქრობა“
18.00, 19.15 ქართული მუსიკა
19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი
19.30, 20.15 ვიდეორადიო
21.15 უცხ. მუსათეული
22.30 პროფათეული
22.55 მუსიკა
23.15 სოლო
00.00 „ბრავო“ „ზარი“ მთ.რ-ში ნაომი უოტსი.
01.40 „ღამურა“ „მაღალი ძაბვა“ მთ.რ-ში ანტონიო საბატო.
03.45 პაუზის გარეშე

### მეორე არხი

19.00 მხიარული კარუსელი
19.30 დიზაინი
19.50 შეხვედრები ფიქრის გორაზე
20.30 საქართველოს მატიანე
21.00 დოკ. ფილმი
21.50 ვარსკვლავები გვამცნობენ
22.00 შვიდეული
23.00 მხ. ფილმი „დიდი მანევრები“

### კავკასია

12.00 მხ. ფილმი „პერლ ჰარბორი“
15.00 მხ. ფილმი „შემოდგომის ლეგენდები“
17.00 მხ. ფილმი „გოძილა“
19.00 ინდ. მხ. ფილმი „მზიური დინასტია“
22.00 მხ. ფილმი „როგორ გახდე პრინცესა“
00.20 მხ. ფილმი „ვარსკვლავური დესანტი“.

### იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი
08.20 ალსავალი
08.25, 10.15, 12.30, 21.55, 22.50 მუსიკა
08.30 ახალი ამბები
09.00 მხ. ფილმი „გლადიატორი“
10.20 მულტფილმი
12.30 გადაცემა - მურადა (გან.)
13.00 მუსიკალურ ტალღაზე
15.00 ქიმერიონი
17.00 ბალეტი
19.30 დოკ. ფილმი
20.00 მხ. ფილმი „სიყვარულის ისტორია“
22.00 ტელე-სინე-ვიდეო
23.00 სერიალი „საჰაერო პოლიცია“
23.50 მხ. ფილმი „პირადი მცველი“
01.00 ღამის ფილმი

### მეცხრე არხი

09.30 მულტფილმი „მხიარული მელოდიები“
09.50, 19.15, 20.15, 22.15, 00.20 მუსიკა
10.00 სერიალი „ალექს მაკის საიდუმლო სამყარო“
10.25 მულტსერიალი „სიმბა მეფე ლომი“
11.00 „საუბრები სტუდიაში“
12.00 „ცხელი ცხრიანი“
12.50 მხ. ფილმი „წითელქუდას შესახებ“ 15.05 „ტელემეტრი“
15.20 დოკ. ფილმი „ტიტანიკის საიდუმლოებანი“
16.15 მხ. ფილმი „კანარის პრინცესა“
18.00 დოკ. ფილმ „საოცარი სპორტი“ მე-10ნ.
19.00 „ბელისიმო“
19.30 „მსოფლიო ფეხბურთი“
20.00 „ოსტატები“ - მესაათე
20.40 რუს. სერიალი „რუსი ამორძალები“ 1-ლი ს.
21.30 „ჩემი ქვეყანა“. ოჯახი.
22.00 მარიონეტების ფილმი „ყოჩაღები“. „ფსიქოზი“
22.15 ჩანახატი „ლია ელიავა და ომის დაწყება“
22.30 ქართ. მხ. ფილმი „შეწყვეტილი სიმღერა“
00.30 მხ. ფილმი „გამჩუმებელი“.

### იმედი

08.55 ქრონიკა
09.05, 15.15, 18.00, 01.00 იმედის მელოდიები
10.20 ანიმაციური სერიალი „მითიური მეგობრები“
10.50 სერიალი „ნირო ვულფი“
12.30 სერიალი „უკიდურესი ზღვარი“
13.00, 15.00, 17.00, 19.00, 21.00, 22.00 ქრონიკა
13.15 სერიალი „უკიდურესი ზღვარი“
13.40 თამაში „გოიარის ციხესიმაგრე“
14.30 სპორტ. პროგრამა „ასი“
15.20 ქართ. ფილმი „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა“
17.15 დოკ. სერიალი „ბრძოლა გადარჩენისათვის“
18.30 დოკ სერიალი „ისტორიის ერთი კვირა“
19.30 სერიალი „შტოკინგერი“
20.30 ჩ-კლუზივი
21.05 ქართ. სერიალი „მგლების ხორუმი“
22.45 „მუღამები“
23.10 მხ. ფილმი „ბალადა ჯარისკაცზე“.

### აჭარა

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
08.20 დოკუმენტური ფილმი
09.00, 12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება
09.25 მხ. ფილმი „ინდიანა ჯონსი დაკარგული განძის მაძიებელი“
11.20 „ყველანი ვართ პატარები“
11.30 „Слово“
12.10 „სამყარო მშვენიერია“ გავშვები და ხელოვნება
12.15 მხატვრული ფილმი „მიმინო“
13.50 მუსიკა
14.10 მხატვრული ფილმი „ამერიკის პრეზიდენტი“
16.10 „სამყარო მშვენიერია“ ბავშვები და ხელოვნება
16.15 მულტფილმი „ჯადოსნური ბეჭედი“
17.15 კომედია „ფრთოსანი გველის შურისძიება“
19.20 „სამყარო მშვენიერია“ ბავშვები და ხელოვნება
19.25, 23.30 მუსიკა
19.50 ისტორიული ფილმი „ჰენრი მ“
22.00 საინფორმაციო გამოშვება „დღეს“
22.20 „Новости в воскресенье“
22.40, 00.20 „Величественное наследие“
23.00 „ქალბატონები“ (ავტორი თ. არჩვაძე)
00.00 საინფორმაციო გამოშვება „დღეს“
00.40 მხატვრული ფილმი „იქ მდინარე მიედინება“
02.45, 03.20 მუსიკა
03.50 მელოდრამა „საბრალო, პატარა, მდიდარი გოგონა“ 2 ს.

### VII არხი

18.10 „ლა-ლა-ლა“
19.00 „აჩიკუდა“
19.20 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
19.45 მელოდია
20.05 კომპიუტერული თამაშები
20.35 რაგბი - ახალი ზელანდია - უელსი .
22.20 ავტოტრეკინგი
23.00 კომპიუტერული ტექნიკა
23.35 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი“ -ესპანეთის ჩემპიონატი.
01.25 აუდიო-ვიდეო-ტელე

### ОРТ

07.00 Новости
07.10 Боевик „Разведчики“
08.00, 11.00, 15.00 Новости
08.10 Боевик „Разведчики“ (прод.)
08.50 Сериал „Твинисы“
09.10 „Служу Отчизне!“
09.35, 17.35 „Ералаш“
09.50 Дисней-клуб: „Легенда о Тарзане“
10.10 „В мире животных“
11.10 „Непутевые заметки“
11.30 „Пока все дома“
12.05 „Дог-шоу“
12.50 „Тайны забытых побед“. „Оружие победы. Катюша“
13.20 „Клуб путешественников“
14.05 „Умницы и умники“
14.35 Дисней-клуб: „Мышиный дом“
15.20 „Властелин вкуса“
16.10 Док.фильм „Шаолинь. Путь воина“
16.55 „Большие родители“. К.Шульженко
18.00 Док.сериал „Живая природа“
19.00 „Времена“
20.10 Худ.фильм „Перед рассветом“
21.50 „Театр кукол с М.Леонтьевым“
22.20 Боевик „Скала“
00.50 Бокс. Виталий Кличко - Росс Пьюрити
01.50 Дневник XXV Московского международного кинофестиваля
02.00 Комедия „Осторожно, заложник“

### РТР

07.00 Худ.фильм „Вам и не снилось“
08.30 Мультфильм „Царство Зеленой Поляны“
09.20 „Русское лото“
10.05 „ТВ Бинго-шоу“
10.35 Местное время. Вести - Москва. Неделя в городе
11.15 „Утренняя почта“
11.45 „Городок“. Дайджест
12.20 Комедия „Матрос с „Кометы“
14.10 „Парламентский час“
15.00 Вести
15.20 „Вокруг света“
16.20 Концерт Д. Хворостовского „Военные песни“
17.15 Худ.фильм „Долгий, долгий день“
18.00 Праздничный концерт, посвященном 90-летию Н.Богословского.
19.05 Худ.фильм „Белорусский вокзал“
21.00 Вести недели
22.10 Худ.фильм „Безумный город“
00.30 Худ.фильм „Разум и чувства“
03.15 „Мир на грани“
03.50 Сериал „Семь дней“

### НТВ

07.20 Худ.фильм „Инспектор ГАИ“
08.35 Худ.фильм „Полундра!“
09.00, 13.00, 17.00 „Сегодня“
09.15 Сериал „Голубое дерево“
10.00 „Без рецепта“. Доктор Бранд
10.30 Лотерея „Шар удачи“
11.00 Сериал „Любовь вдовца“
11.55 „Песни войны“
12.15 „Растительная жизнь“. Я.Арлазоров
12.50 Играем в „Кено“
13.10 „Влияние“
14.00 Худ.фильм „Отряд“
15.55 „Вкусные истории“
16.05 „Своя игра“
17.20 „Экстремальный контакт. Ныряльщики в животном мире“, 13 с.
17.50 „Женский взгляд“. З.Кириенко
18.25 Боевик „Риск без контракта“
20.05 Док.фильм „Если завтра война?“
20.50 Боевик „Агент национальной безопасности“
22.00 „Намедни“ с Л.Парфеновым
23.30 Боевик „Отряд 10 из Наварона“
02.50 Сериал „Клан Сопрано“

*პროგრამები იბეჭდება მედიასთან ურთიერთობის სააგენტო "ინფოზავრის" ნებართვით*

## ბინები

### იყიდება

იყიდება 3-სართულიანი კერძო სახლი მცხეთაში, ფიქრის გორაზე - შიო მღვიმელის ქ. 4 ; 600 კვ. მ. მიწის ნაკვეთით. არის ბუნებრივი აირი, ტელეფონი თბილისის ნომრით, საცურაო აუზი და ავტოფარეხი ორი ავტომობილისათვის. სახლი აშენებულია 1992 წელს. დარეკეთ ტელეფონზე: ტელ: 94-12-12, იკითხეთ ლია.

იყიდება 2,5-იანი გარემონტებული სუფთა ბინა, რკინის კარით, პარკეტით, ბუნებრივი აირით, ორი აივნით, სათავსოებით, ორი სარდაფით, ავტოფარეხის ადგილით. ორხევი, მუხაძის 6/6, I სადარბაზო, III სართ. N7. ტელ: 76-87-48, 893 32-28-12, 893 20-75-91.

იყიდება ან ქირავდება 5-ოთახიანი ბინა მაღალ ბელეტაჟზე კეკელიძის №25-ში. ბინის საერთო ფართი 160 კვ.მ. ავტონომიური გათბობის სისტემით, ბარით, სარდაფით და ავტოფარეხით. გაქირავების ფასი 380 $, გაყიდვის ფასი 50 000 $. 23 40 68, 8(93) 32 32 74

იყიდება 2,5-ოთახიანი, არასტანდარტული სუფთა ბინა მე-6 სართულზე. 40 კვ.მ. მიშენებით ქვედა ბახტრიონზე, N22-ში. ფასი 24 000. ტელ: 38-32-50

იყიდება გრიგოლეთში სააგარაკე ნაკვეთი. გადაჰყურებს პირდაპირ ზღვას. ტელ: 93-27-82, 893 203292.

იყიდება 1500 კვ.მ. ხეხილიანი სააგარაკე მიწის ნაკვეთი. შემოღობილი. არის სარწყავი წყალი, დენი, კარგი გზა, სახლის ფუნდამენტი. თბილისიდან 20 კმ-ში გომბორის გადასახვევამდე. ფასი შეთანხმებით. ტელ: 23-11-38

იყიდება 3-ოთახიანი არასტანდარტული, მაღალჭერიანი კუთხის ბინა ბუნებრივი აირით, გოგირდის წყლით, რკინის კარით, მუხის პარკეტით, ორმხრივი მიშენების პერსპექტივით, კეთილმოწყობილი სარდაფით, ავტომობილის გასაჩერებელი ადგილით “რუსთავი 2”- ის უკან. ფასი: 30 000$. ტელ: 39-30-54.

იყიდება დოლიძის ქუჩაზე 5-ოთახიანი ნათელი ბინა 2(8) დარჩენილია კოსმეტიკური სამუშაო, ორი აივნით, დიდი სათავსით, მანქანის სადგომით. ფასი: 32 000$. ტელ: 23-11-38

განვადებით შევიძენ 2 ან 3 ოთახიან ბინას 3 000 დოლარის წინასწარ გადახდით. ტელ: 77-73-54, 77-75-73 კახა.

იყიდება ფოთში მალთაყვის პირას ორსართულიანი სახლი, ციტრუსიანი 600 კვ.მ ეზოთი, გამოდგება როგორც საგარაკედ, ისე საცხოვრებლად. ტელ: 93-27-82, 893 203292.

იყიდება ასურეთში აგარაკი 1100 კვ.მ., ხეხილიანი ეზოთი, კაპიტალური ორსართულიანი გარემონტებული სახლით, საკვანძით, ელექტროგაყვანილობით, წყლით. ტელ: 93-27-82, 893 203292.

იყიდება 2-ოთახიანი ბინა ლოჯიით. ვერცხლის ქ.50. ტელ: 98-61-12

იყიდება!
სასწრაფოდ, ოროთახიანი (გადაკეთებული 4-ად) არასტანდარტული მაღალჭერიანი (3.10მ) კუთხის ბინა 9(9) საბურთალოზე, ს. ზაქარიაძის ქუჩაზე (მ. "გოცირიძე"). საერთო ფართი135 კვ.მ. 3 აივნით, 2 ტუალეტით, 2 სათავსოთი, სარდაფით, ტელეფონით, ბ/ა. ფასი შეთანხმებით.
ტელ: 39-53-41 69-94-27 ბელა.

## ბინები

### ქირა, ბირაო

ქირავდება 1-ოთახიანი კეთილმოწყობილი ბინა სოლოლაკში. ყველა საჭირო ინვენტარით. 98-94-74.

ქირავდება 4-ოთახიანი ახალი ბინა მეტრო დელისთან, ზაქარიაძის ქ.8-ში ("პარლამენტის სახლში") მდებარე ახლადაშენებული სახლის მე-10 სართულზე, კარგი რემონტით, საერთო ფართი 160 კვ.მ. 3 საძინებლით, 3 სველი წერტილით, წყლით, გაზით. 4 აივნით. ბინა ცარიელია, გამოდგება საოფისედაც. ფასი შეთანხმებით. ტელ. 39-74-56 მამუკა.

**ქირავდება!**

**სახლი აღმაშენებლის გამზ. N151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ. ტელ: 37-28-77; 93-16-11; 899 539097**

**ქირავდება 4-ოთახიანი 125 კვ.მ ფართის ბინა, სათავსოებით, ცხელი წყლით, მუდმივი დენით, ბ/ა-ით ბარათაშვილის N12-ში 7(7), მუშაობს ლიფტი.**
**ტელ: 99-74-83, 99-93-62.**
**19.00 სთ-ის შემდეგ.**

**ქირავდება!**
**3-ოთახიანი, კეთილმოწყობილი ბინა ავეჯით.**
**ფასი 200$. უზნაძის 53. ტელ: 95-40-23 ნანა.**

**ქირავდება 45 კვ.მ საოფისე კეთილმოწყობილი ფართი, ცხელი წყლით, ტელეფონით, მუდმივი დენით ლეონიძის ქ. N8-ში (ყოფილი კიროვის).**
**ტელ: 99-74-83, 99-93-62.**
**19.00 სთ-ის შემდეგ.**

## მანქანები

**სასწრაფოდ!**
**იყიდება BMW-728 1998 წლის. ტელევიზორი, კლიმატკონტროლი, პროგრამული სავარძლები, სანავიგაციო სისტემა, პარკტრონიკები.**
**ფასი: 13 500$**
**ტელ: 899 182227**

**იყიდება BMW-320, 2 -კარებიანი, 6 ცილინდრიანი ძრავით, 1984 წლის გამოშვება, ფასი 1000$. ტელ: 29-00-92.**

იყიდება გოლფი-3 92 წლის გამოშვება 1.8 ძრავი, 2 კარიანი ლურჯი ფერის. ფასი 2800$. ტელ: 893 347536.

## სწავლება

**ლონდონში სტაჟირებული სპეციალისტი შეგასწავლით ინგლისურ ენას ინდივიდუალურად თქვენი მიზნების გათვალისწინებით. ტელ: 96-64-12, 893 219442, 95-20-34.**

შევასწავლი გერმანულ ენას. ტელ: 32-03-71.

## სხვადასხვა

**ვარ გამოცდილი მასაჟისტი, ჭარბი ბიოენერგიით. ვიმუშავებ კლუბებში, სალონებში ან სხვა გამაჯანსაღებელ კომპლექსში კარგი ანაზღაურებით. შესაძლებელია ბინაზე გამოძახებაც, ჩაწერა წინასწარ.**
**ტელ: 98-31-32.**

**ვამზადებთ წვეულებებისთვის მრავალფეროვან კერძებს (როგორც ქართულს, ასევე, ეგზოტიკურს). შეკვეთისათვის დაგვიკავშირდით ორი დღით ადრე.**
**მის: ა. ყაზბეგის N55ა (კაფე “ჩარგალის” პირდაპირ) – კაფე “ცეზო”.**
**ტელ: 39-46-30, 899 978757**
**მაკა ან ცეზო.**

**კაზინო "მუმიას" ესაჭიროება კვალიფიციური დილერები. მისამართი მეტრო-სადგურ "ვარკეთილი"-ის თავზე.**
**ტელ: 899 584855**




# მდიდარი და სახელგანთქმული



ჯენიფერ ანისტონი

ჟურნალმა Forbes-მა ჩვენი პლანეტის ყველაზე მდიდართა და სახელგანთქმულთა ნუსხა გამოაქვეყნა. ამჯერად ასკაციან სიაში პირველ ადგილზე სერიალ "მეგობრების" ვარსკვლავი, ჯენიფერ ანისტონი გავიდა, არადა, გასულ წელს მან მხოლოდ 53 მილიონი დოლარი გამოიმუშავა.

ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივი "ბიოგრაფიის" მქონე სატელევიზიო კომედიის მსახიობი მსოფლიოს ყველაზე მნიშვნელოვან ფიგურად იქნა მიჩნეული. ამ გადაწყვეტილების საფუძველი მისი პრესაში გამოჩენის რაოდენობის ანალიზი გახლდათ – გასული წლის განმავლობაში ანისტონის ფოტოსურათები 14-ჯერ დაიბეჭდა პრიალა ჟურნალების გარეკანებზე.

ავტორიტეტული ჟურნალი ამ ნუსხას - „100 უცნობილესი ადამიანის სია" - ყოველწლიურად აქვეყნებს. შეფასების ძირითადი კრიტერიუმები ამა თუ იმ პიროვნების ავტორიტეტი და პოპულარობაა. ვარსკვლავების შემოსავალი, რასაკვირველია, არანაკლებ მნიშვნელოვანია, მაგრამ გადამწყვეტი მაინც არაა. ძირითადად მაინც ისეთ ფაქტორებს ითვალისწინებენ, როგორც ტელევიზიაში გამოჩენა, რადიოგამოსვლები და ჟურნალ-გაზეთების პუბლიკაციები. განსაკუთრებული მნიშვნელობა იმას ენიჭება, თუ რამდენჯერ გამოქვეყნდა წლის განმავლობაში ამა თუ იმ სახელგანთქმული ადამიანის პორტრეტი სქელტანიანი ჟურნალების პირველ გვერდებზე.

შარშან ყველაზე დიდი ფული რეჟისორ სტივენ სპილბერგს უშოვნია – 307 მილიონი დოლარი, მაგრამ პრესაში არ გაუმართლა, ამიტომ მეოთხე ადგილზე აღმოჩნდა. მეორე ადგილზე გასულმა ემინემმა, ოფიციალური მონაცემების თანახმად, იმდენივე მოიპოვა, რამდენიც ანისტონმა – 53 მილიონი დოლარი.

სიაში დიდი ბრიტანეთის შვიდი წარმომადგენელია: პოლ მაკარტნი (მეექვსე პოზიცია), "როლინგ სტოუნზი" (მეათე პოზიცია), ოსბორნების ოჯახი (მეთორმეტე პოზიცია), "ჰარი პოტერის" ავტორი ჯოან როულინგი (მეთხუთმეტე პოზიცია). 37-ე ადგილი რობი ვილიამსს ეკუთვნის, დევიდ ბექჰემი, რომელიც თავის სამშობლოში ძალიან პოპულარულია, მხოლოდ 56-ე სვეტში აღმოჩნდა, 84-ე ადგილი კი სეიმონ კოუელმა დაიკავა.

უცნაურია, მაგრამ ანისტონის მეუღლე, ბრედ პიტი, უთვალავი ფანატის მხარდაჭერის მიუხედავად, ასეულში ვერ მოხვდა. ასევე "გაირიყა" შარშანდელი პირველი ადგილის მფლობელი ბრიტნი სპირსიც. არც მადონას, ელტონ ჯონსა და ერიკ კლეპტონს გაუმართლათ – სიაში ისინიც ვერ მოხვდნენ.

**ათი ყველაზე მდიდარი და სახელგანთქმული**
(Forbes-ის მონაცემების მიხედვით):

ჯენიფერ ანისტონი (53 მილიონი დოლარი)
ემინემი (53 მილიონი დოლარი)
ტაიგერ ვუდსი (307 მილიონი დოლარი)
სტივენ სპილბერგი (307 მილიონი დოლარი)
ჯენიფერ ლოპესი (43 მილიონი დოლარი)
პოლ მაკარტნი (89 მილიონი დოლარი)
ბენ აფლეკი (69 მილიონი დოლარი)
ოპრა უინფრი (276 მილიონი დოლარი)
ტომ ჰენქსი (84 მილიონი დოლარი)
"როლინგ სთოუნზი" (102 მილიონი დოლარი)




თქვენი რეკლამა
ჩვენს გაზეთში
20-24-24
20-00-24

# წამალი "სალხინო"
## ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

# ბრიჯი



**გურამ ბერიშვილი**

დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია გაეცნოს წინა პუბლიკაციებს ინტერნეტით: www.berishvili.pvt.ge
საკუთარი მოსაზრებები შეგიძლიათ გამოაგზავნოთ guram@berishvili.pvt.ge

N12

შემოთავაზებული იყო ომარ შარიფის მიერ გათამაშებული ხელი. კარტის სრული განლაგებაა

N: ♠A 9 ♡D 8 3 ◇A K 7 3 ♣D 7 3 2
W: ♠7 ♡A 9 7 6 2 ◇8 5 2 ♣V 10 8 5
E: ♠D 8 3 ♡K V 4 ◇10 6 4 ♣A K 6 4
S: ♠K V 10 6 5 4 2 ♡10 5 ◇D V 9 ♣9

დანიშნულია 4♠, გამთამაშებელია ომარ შარიფი (S). შეტევა W-მ დაიწყო ◇8-ით.

გამთამაშებლის პოტენციური დანაკარგებია ორი გულში, ერთი ჯვარში და ერთი თულფში, თუ თულფის D ერთ-ერთი მოწინააღმდეგის ხელში მესამეა. თუ ყველა ეს დაიკარგა, კონტრაქტი ჩავარდნილია. გამთამაშებელმა ერთ-ერთი ამ დანაკარგთაგან უნდა მოიშოროს. გამოცდილება ამბობს, რომ თუ ფერი თქვენ და თქვენი პარტნიორის ხელში არათანაბრადაა განაწილებული, მაშინ მოწინააღმდეგესთან იგივეს უნდა ელოდოთ, ანუ 3 -1. ეს მართლაც ასე იყო. ღია კარტში ჩანს, რომ D-ს გაჭრა შესაძლებელია (D ჩიხშია). მაგრამ ეს საკმაოდ სარისკოა. თუ თულფის D-მ გამთამაშებლის თულფი წაიღო, კონტრაქტის შესრულება სათუო გახდება.

დამცველებს, რომ გულით ან ჯვრით წამოეწყოთ და აეღოთ თავისი 3 აღება, მაშინ სხვა გამოსავალი არც იყო და გამთამაშებელს უნდა ეცადა თულფის D-ს დაჭერა. მაგრამ რადგან დამცველებმა აგურით დაიწყეს შესაძლებელია უფრო უსაფრთხო გათამაშებაც, რაც ომარ შარიფმა შეასრულა კიდეც. მან ბუნებრივია აიღო პირველი აღება D-თი, შემდეგ აიღო თულფის A და K. დაინახა რა, რომ D არ დავარდა, გააგრძელა აგურით და მეოთხე აგურზე S-დან ჩაიტანა დასაკარგი ჯვარი. თუ ამ აღებას D-თი მოკლავენ, აიღებენ კიდევ ორ გულს და კონტრაქტი შესრულდება. თუ არ მოკლავენ, მაშინ აგური აიღებს და კონტრაქტი მაინც შესრულდება. E-მ მოკლა და ჩამოვიდა ჯვრის A. ამგვარად კონტრაქტი შესრულდა.

წინა პუბლიკაციაში ვისაუბრეთ გათამაშების შესახებ. გავაგრძელოთ ეს საუბარი და თემა, რომ უფრო გასაგები გახდეს, განვიხილოთ მაგალითი. დანიშნულია 3 უთულფო და W-მ წამოიწყო ♣4-ით.

N: ♠K 9 7 ♡4 2 ◇D 10 4 2 ♣A 10 7 5
S: ♠A D 2 ♡A V 5 ◇K V 7 6 2 ♣D 6

დავთვალოთ აღებები: 3 ყვავში, 1 გულში, 1 ჯვარში და 4 აგურში. სულ 9 აღება. თუ ყველაფერი ისე წავა, როგორც გამთამაშებელს სურს, კონტრაქტი შესრულებულია. ერთადერთი, რაც უნდა დროზე გაკეთდეს, ეს აგურის ტუზის გათამაშებაა.

გაკეთებულმა პირველმა სვლამ შესაძლოა აცდუნოს გამთამაშებელი ერთი ზედმეტი აღებისაკენ. თუ N გაატარებს ჯვარს და E დადებს K-ს, S-ის D შემდგომში ამღები გახდება. მაგრამ გამთამაშებელს არ უნდა დაავიწყდეს რომ გასაცემია აგურის ტუზისათვის. თუ E აიღებს და წამოიწყებს გულს, დამცველების გული განთავისუფლდება და აგურის ტუზის მიცემის შემდეგ დამცველები აიღებენ რამდენიმე გულს. მათ ხელში 8 გულია, ანუ მინიმუმ 3 აღება. სულ 5 აღება. გამთამაშებელს დარჩა მხოლოდ 8. კონტრაქტი ჩავარდა. კიდევ უფრო უარესი იქნება თუ გული არათანაბრადაა განაწილებული. ამგვარ რისკზე წასვლა არ ღირს.

როგორ უნდა დავიცვათ თავი?

პირველი სვლა უნდა ავიღოთ N-ის ტუზით და დაუყოვნებლივ გავათამაშოთ აგური. ამის შემდეგ მოწინააღმდეგეს შეუძლია წაგვართვას ორი ჯვარი. მაგრამ ეს კარგი შემთხვევა იქნება, რადგან ჯვრის ათიანი ამღები გახდება. კარგი დამცველები გულის გათამაშებას მოისურვებენ. N-S აიღებს გულის ტუზით და აიღებს ყველა თავის აღებასაც. კონტრაქტი შესრულდება.

მეორე მაგალითი

ვთქვათ აუქციონი წარიმართა შემდეგნაირად

| S | W | N | E |
|---|---|---|---|
| 1♡ | 2♡ | 3◇ | პას |
| 3♡ | პას | 4♡ | პას |
| პას | პას | | |

N: ♠9 5 2 ♡D 10 7 ◇A D 8 4 ♣K 9 3
S: ♠D 7 ♡K V 9 8 3 ◇K 9 2 ♣A V 7

W-მ გათამაშება წამოიწყო ყვავით. დამცველებმა აიღეს ორი ყვავი და გამოვიდნენ მესამესაც. მესამე სვლაზე E-მ ჩააგდო ჯვარი. გამთამაშებელმა უკვე იცის, რომ W-ს ყვავში 6 კარტი ჰქონდა.

გამთამაშებელი ხედავს 9 აღებას: 4 თულფით, 3 აგურში და 2 ჯვარში. საჭიროა გამოძებნოს მეათე. ეს უნდა იყოს ან ჯვარში, თუ დაიჭირა ჯვრის D, ან აგურში თუ მეოთხე დარჩა უფროსი, ან განაწილებულია სამ სამად. ამის გასაგებად უნდა მივყვეთ თამაშს და დროზე გავარკვიოთ, რომელია უფრო საიმედო.

| | W | N | E | S |
|---|---|---|---|---|
| 1 | ♠A* | ♠2 | ♠3 | ♠7 |
| 2 | ♠K* | ♠5 | ♠4 | ♠D |
| 3 | ♠V | ♠9 | ♣2 | ♡3* |
| 4 | ♡2 | ♡D | ♡A* | ♡8 |
| 5 | ♡5 | ♡7 | ♡4 | ♡K* |
| 6 | ♡6 | ♡10 | ♣4 | ♡V* |
| 7 | ♠6 | ♣3 | ♣5 | ♡9* |
| 8 | ◇3 | ◇4 | ◇5 | ◇K* |
| 9 | ◇6 | ◇A* | ◇7 | ◇2 |
| 10 | ♠8 | ◇D* | ◇10 | ◇9 |
| 11 | ♣8 | ♣K* | ♣6 | ♣7 |
| 12 | ♣D | ♣3 | ◇6 | ♣A* |
| 13 | ♠10 | ♣9 | ◇8 | ♣V* |

გამთამაშებელი მესამე სვლაზე კლავს რა ყვავს თულფით, გადის თულფს და E, რადგან არ უნდა, რომ ითამაშოს ჯვარი ან აგური ილებს ტუზით და აგრძელებს თულფით. S იღებს და თამაშობს თულფს მესამეჯერ. მოწინააღმდეგეს თულფი აღარ აქვს.

უკანასკნელ თულფზე E აგდებს ჯვარს. ამის შემდეგ გამთამაშებელი თამაშობს სამჯერ აგურს და როდესაც მესამე აგურზე ვარდება ყვავი, ყველაფერი ნათელია, ჯვრის D მეორეა ხელში და ვარდება ჯვრის მეორე სვლაზე. ჯვრის V იღებს.

N13

ბრიჯის ფესტივალზე წყვილთა შორის Costa del Sol-ში 1967 წელს გათამაშდა შემდეგი ხელი

N: ♠A 7 5 ♡- ◇A V 10 7 ♣A V 10 6 3 2
S: ♠D 2 ♡K 10 9 8 7 5 4 3 2 ◇3 ♣K

თუ ჩვენ ნატურალურ სისტემას გავიხსენებთ S-მა აუქციონი 3♡-ით უნდა დაიწყოს. N-მა იცის, რომ S-ს შვიდი ცალი გული აქვს, მაგრამ თვით მას - ექვსი ჯვარი და 14 ქულა. N-მა უნდა იფიქროს, რომ თუ S-ს ათიოდე ქულა მაინც აქვს, გეიმი შესაძლებელია. ამიტომ "4♣", S იმეორებს "4♡" და სასურველია აუქციონი ამაზე დამთავრდეს.

ერთ-ერთ მაგიდასთან ცნობილი ბრიჯისტები იყვნენ (ორი მათგანი, S და W, მსოფლიო ჩემპიონიც). აუქციონი ასე წარიმართა

| S | W | N | E |
|---|---|---|---|
| Van Seters | Le Dantu | Madame Goldsmidt | Frendo |
| 4♡ | პას | 4 უთ | პას |
| 4♣ | პას | 5♡ | პას |
| პას | პას | | |

ვან სეტერსმა ჯებირი უფრო მაღალი დააყენა, რაც იმასაც ნიშნავდა, რომ გულში მას შვიდზე მეტი კარი აქვს. მისმა პარტნიორმა პირდაპირ შლემზე იფიქრა და ტუზების რაოდენობის შეკითხვა დასვა, რითაც გაირკვა, რომ პარტნიორს ტუზი არა აქვს. N-მა ამის გამო შეაჩერა აუქციონი. საბოლოოდ დარჩა 5♡.

სხვა მაგიდებზე 4♡-ზე გაჩერდნენ. ერთ მაგიდაზე "3♡"-ზე პასუხად მიიღო "პას" და გეიმიც კი ვერ ითამაშეს.

როგორ შეასრულა ვან სეტერსმა დანაპირები კონტრაქტი?

## კროსვორდი

